

სს „ლიბერთი კონსუმერი“

(ემიტენტი ან კომპანია)

2016 წლის 11 მაისი

განცხადება

საჯარო შეთავაზების დაწყების შესახებ

სს „ლიბერთი კონსუმერი“ აცხადებს კომპანიის არაუმეტეს 156,140,351 (ას ორმოცდათექვსმეტი მილიონ ასორმოცი ათას სამას ორმოცდათერთმეტი) ცალი ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების საჯარო შეთავაზების შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2015 წლის 5 მაისის #289 განკარგულებით დამტკიცებული წინასწარი პროსპექტის შესაბამისად.

საჯარო შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კომპანიის აქციონერებს, რომლებიც აქციებს ფლობდნენ „შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის“ – 2016 წლის 4 მაისის მდგომარეობით.

თითო აქციის განთავსების ფასი: 0.057 აშშ დოლარი.

შეთავაზების დაწყების თარიღი: 2016 წლის 11 მაისი.

შეთავაზების განაცხადების მიღების დასრულების დღე: 2016 წლის 18 მაისი.

საჯარო შეთავაზების პირობები დეტალურად მოცემულია ემისიის წინასწარ პროსპექტში, რომელიც ხელმისაწვდომია გასაცნობად ემიტენტის ვებ-გვერდზე:

http://libertyconsumer.ge/data/file_db/Announcements/Prospectus_95bDbUueRM.pdf

სს „ლიბერთი კონსუმერი“

11 მაისი, 2016 წ.

დანართი #1
ნომინალური მფლობელის წერილობითი განაცხადი

სს „ლიბერტი კონსუმერ“-ს (205154438)

მის: თბილისი, ბელიაშვილის ქ #8,

ტელ: (+995 32) 444 444 (7804);

მობ: (+995 577) 421269;

ელ. ფოსტა: lc@libertyconsumer.ge;

სს "ლიბერტი კონსუმერ"-ის აქციების ნომინალური მფლობელის

ნომ. მფლობელის

დასახელება:

მისამართი:

ტელეფონი:

საიდენტიფიკ.

კოდი:

E-Mail:

მობილური:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისათვის (2016 წლის 4 მაისი) ჩვენს ნომინალური მფლობელობაში გვაქვს/აღრიცხულია სს „ლიბერტი კონსუმერ“-ის

_____ ცალი ჩვეულებრივი აქცია. აღნიშნული აქციები ინახება/აღრიცხულია:

(აქციების რაოდენობა)

სს "კავკასიურეკსტრში" - სს "ლიბერტი კონსუმერ"-ის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორში _____ აქცია

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტართან" _____ აქცია

ვადასტურებთ, რომ რეგისტრირებული მესაკუთრეების (ჩვენი კლიენტების) სახელით გვსურს მონაწილეობა მივიღოთ სს "ლიბერტი კონსუმერ"-ის ახალი აქციების ემისიაში და გამოვიყენოთ უპირატესი შესყიდვის უფლება და ამასთან დავკავშირებით უზრუნველვყოთ ანგარიშსწორება 1 აქციაზე 0.057 აშშ დოლარის გადახდა ქვემოთ მითითებულ რაოდენობაზე:

- ა) ნომინალურ მფლობელობაში არსებული აქციების პროპორციულად:
- ა.1. მფლობელობაში არსებული _____ აქციის პროპორციული ახალი აქციების მაქსიმალური ოდენობა
 - ა.2. არაუმეტეს _____ ცალი ახალი ემისიის აქცია
- ბ) შევიძინოთ ახალი ემისიის აქციების ქვემოთ მითითებული ოდენობა, რაც შესაძლებელია დარჩეს სხვა აქციონერების (რეგისტრირებული მესაკუთრეების) მხრიდან ახალი ემისიის აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში
- ბ.1. ნომინალურ მფლობელობაში არსებული _____ აქციისთვის მაქსიმალური შესაძლო ოდენობა
 - ბ.2. არაუმეტეს _____ ცალი ახალი ემისიის აქცია

ვადასტურებთ, რომ:

ა) პუნქტით განსაზღვრული შესასყიდი აქციების თანხის გადახდას მოვახდენთ არაუგვიანეს _____

(თარიღი)

ხოლო ბ) პუნქტით განსაზღვრული აქციების შესასყიდი თანხის გადახდას მოვახდენთ არაუგვიანეს _____

(თარიღი)

ვადასტურებ, რომ ვმოქმედებ მხოლოდ ჩვენს ნომინალურ მფლობელობაში შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისთვის არსებული იმ რეგისტრირებული მესაკუთრეების სახელით, რომელთაგანაც მიღებული გვაქვს შესაბამისი განაცხადები/დავალებები (რომლებიც შეგვიძლია წარმოგიდგინოთ კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებლობის შემთხვევაში).

(ხელმოწერა)

(ნომინალური მფლობელი/უფლებამოსილი პირი)

(თარიღი)

საბანკო რეკვიზიტები აშშ დოლარში:

მიმღების დასახელება: სს ლიბერტი კონსუმერი

მიმღები ბანკი: სს საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE08BG000000145570700

დანართი #1

აქციონერის/რეგისტრირებული მესაკუთრის წერილობითი განაცხადი

სს „ლიბერთი კონსუმერ“-ს (205154438)

მის: თბილისი, ბელიაშვილის ქ #8,

ტელ: (+995 32) 444 444 (7804);

მობ: (+995 577) 421269;

ელ. ფოსტა: lc@libertyconsumer.ge;

აქციონერის / რეგისტრირებული მესაკუთრის:

სახელი, გვარი/
დასახელება

პირადი ნომერი/
საიდ. კოდი

მისამართი:

E-Mail:

ტელეფონი:

მობილური:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისათვის (2016 წლის 4 მაისი) საკუთრებაში მაქვს სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის

_____ ცალი ჩვეულებრივი აქცია. აღნიშნული აქციები ინახება/აღრიცხულია:
(აქციების რაოდენობა)

სს "კავკასრეესტრში" - სს "ლიბერთი კონსუმერ"-ის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორში
_____, ნომინალურ მფლობელობაში
(ნომინალური მფლობელის დასახელება)

ვადასტურებ, რომ მსურს მონაწილეობა მივიღო სს "ლიბერთი კონსუმერ"-ის ახალი აქციების ემისიაში და გამოვიყენო უპირატესი შესყიდვის უფლება. ასევე, უზრუნველყო ანგარიშსწორება 1 აქციაზე 0.057 აშშ დოლარის გადახდა ქვემოთ მითითებულ რაოდენობაზე:

- ა) საკუთრებაში არსებული აქციების პროპორციულად
 - ა.1. სრულად (მაქსიმალური ოდენობა),
 - ა.2. არაუმეტეს _____ ცალი ახალი ემისიის აქცია
- ბ) შევიძინო ახალი ემისიის აქციების ქვემოთ მითითებული ოდენობა, რაც შესაძლებელია დარჩეს სხვა აქციონერების (რეგისტრირებული მესაკუთრეების) მხრიდან ახალი ემისიის აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში
 - ბ.1. მაქსიმალური შესაძლო ოდენობა
 - ბ.2. არაუმეტეს _____ ცალი ახალი ემისიის აქცია

ვადასტურებ, რომ:

ა) პუნქტით განსაზღვრული შესასყიდი აქციების თანხის გადახდას მოვახდენ არაუგვიანეს

(თარიღი)

ხოლო ბ) პუნქტით განსაზღვრული აქციების შესასყიდი თანხის გადახდას მოვახდენ არაუგვიანეს

(თარიღი)

(ხელმოწერა)

(აქციონერი/უფლებამოსილი პირი)

(თარიღი)

საბანკო რეკვიზიტები აშშ დოლარში:
მიმღების დასახელება: სს ლიბერთი კონსუმერი
მიმღები ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE08BG000000145570700

Annex #1
Nominal Holder Application

JSC Liberty Consumer (205154438)

Address: Tbilisi, Beliashvili str. 8,
Phone: (+995 32) 444 444 (7804);
(+995 577) 421269;
E-mail: lc@libertyconsumer.ge;

Nominal Holder Information

| | | | |
|----------|------------|---------------------|------------|
| Name | [REDACTED] | Identification Code | [REDACTED] |
| Address: | [REDACTED] | E-Mail: | [REDACTED] |
| Phone: | [REDACTED] | Mobile: | [REDACTED] |

Application

As of offering record date (May 4, 2016) in our nominal holding we keep/have record of

[REDACTED] ordinary shares of JSC Liberty Consumer. Shares are kept/ recorded at:
(number of shares)

| | | |
|--|------------|--------|
| JSC Kavkasreestri - Securities Registrar of JSC Liberty Consumer | [REDACTED] | shares |
| JSC Georgian Central Securities Depository | [REDACTED] | shares |

On behalf of registered holders (our clients) we confirm participation in issuance of JSC Liberty Consumer new shares. We will exercise preemptive rights and will pay 0.057 USD per share for the following number of shares:

- (a) pro rata to existing shares in our nominal holding:
 - a.1. newly issued shares pro rata to [REDACTED] existing shares
 - a.2. no more than [REDACTED] newly issued shares
- (b) If other shareholders (registered holders) do not exercise preemptive rights we will additionally purchase following number of shares:
 - b.1. maximum possible amount of shares [REDACTED] pro rata to shares currently kept in nominal holding
 - b.2. no more than [REDACTED] newly issued shares

We also confirm, that

payment for newly issued shares specified in clause (a) will be made no later than [REDACTED]
(date)

payment for newly issued shares specified in clause (b) will be made no later than [REDACTED]
(date)

We hereby confirm, that we act on behalf of registered holders, who as of offering record date are registered in our nominal holding and we have obtained relevant applications/ instructions (which can be provided if necessary in circumstances provided by laws of Georgia).

(Signature)
[REDACTED]
(Nominal Holder/Responsible Person)
[REDACTED]
(date)

| |
|---|
| BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR Account with institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia Beneficiary: JSC LIBERTY CONSUMER Account: GE08BG0000000145570700 |
|---|

Annex #1
Shareholder/Registered Holder Application

JSC Liberty Consumer (205154438)

Address: Tbilisi, Beliashvili str. 8,
Phone: (+995 32) 444 444 (7804);
(+995 577) 421269;
E-mail: lc@libertyconsumer.ge;

Shareholder/ Registered Holder Information:

| | | | |
|----------|------------|---------------------|------------|
| Name | [REDACTED] | Identification Code | [REDACTED] |
| Address: | [REDACTED] | E-Mail: | [REDACTED] |
| Phone: | [REDACTED] | Mobile: | [REDACTED] |

Application

As of offering record date (May 4, 2016) I hold
(date)

[REDACTED] ordinary shares of JSC Liberty Consumer. Shares are kept/ recorded at:
(number of shares)

JSC Kavkasreestri - Securities Registrar of JSC Liberty Consumer [REDACTED] shares
through nominal holder [REDACTED]
(name of nominal holder)

I confirm participation in issuance of JSC Liberty Consumer new shares. I will exercise preemptive rights and will pay 0.057 USD per share for the following number of shares:

- a) pro rata to shares in our ownership
 - a.1. full (maximum amount)
 - a.2. no more than [REDACTED] newly issued shares
- b) If other shareholders (registered holders) do not exercise preemptive rights I will additionally purchase following number of shares:
 - b.1. maximum possible amount
 - b.2. no more than [REDACTED] newly issued shares

I also confirm, that

payment for newly issued shares specified in clause (a) will be made no later than

[REDACTED]
(date)

payment for newly issued shares specified in clause (b) will be made no later than

[REDACTED]
(date)

(Signature)

[REDACTED]
(Shareholder/Responsible Person)

[REDACTED]
(date)

BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR

Account with institution: Bank of Georgia,
SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia
Beneficiary: JSC LIBERTY CONSUMER
Account: GE08BG000000145570700

Joint-Stock Company Liberty Consumer

Announcement of the Offering of 156,140,351 Ordinary Voting Shares

On 11 May 2016, JSC Liberty Consumer (the 'Company' or the 'Issuer') announces the offering of up to 156,140,351 (one hundred fifty six million one hundred forty thousand three hundred fifty one) ordinary voting shares ('Offering') to be issued by the Issuer. The newly issued shares will belong to the same class as the existing shares of the Company. As of the date of this Announcement, the number of the Company's outstanding ordinary voting shares is 60,305,848 (sixty million three hundred five thousand eight hundred forty eight million) with nominal value GEL 0,01 each. In connection with the Offering the Company has prepared the prospectus (the 'Prospectus'), which was approved on 5 May 2016 by the National Bank of Georgia. The Prospectus and related documents are available in Georgian and can be accessed on Issuer's web-site:

http://libertyconsumer.ge/data/file_db/Announcements/Prospectus_UzlgkFC7Bo.pdf

Principal terms of the Offering are summarized below:

| | |
|---|---|
| Offering size: | up to 156,140,351 (one hundred fifty six million one hundred forty thousand three hundred fifty one) ordinary voting shares to be issued by the Issuer; |
| Offer price per share: | 0.057 USD; |
| Participants: | only the existing shareholders of the Company as of the close of the Record Date are eligible to participate on a pro-rata basis, as further detailed in the Procedure for Participation in the Offering; |
| Record Date: | 4 May 2016; |
| Commencement Date: | 11 May 2016; |
| End Date for Submission of Applications ("End Date"): | 18 May 2016; |

Procedures for Participation in the Offering

Shareholders shall be authorized to present Applications to purchase the shares of the Company. Applications shall be submitted to the Company in an applicable form as attached to this Announcement no later than the End Date. Shareholders who hold Company's shares through nominal holders may submit the Application either by themselves or through their nominal holders. Shareholders opting for the latter option are advised to contact their nominal holders earlier to allow them sufficient time in order to submit the Application before the End Date.

Each shareholder may submit the Application to purchase number of the shares pro-rata to their existing shares in the Company. The shareholder submitting the Application shall by the End Date deposit the sum equal to the purchase price of the subscribed shares, otherwise the application shall not be considered.

Shareholders submitting pro-rata Application as per paragraph above, may additionally purchase the shares which remain unsubscribed by any other shareholder. Shareholder willing to purchase the additional shares shall indicate in advance in its original application. Additional shares shall be distributed among the willing shareholders on a pro-rata basis. Each Shareholder willing to purchase the additional shares shall within 5 calendar days after the End Date, transfer the purchase price of the respective portion of the additional shares to the Company.

Use of Proceeds

The proceeds from issue of the new shares will be used to implement the Issuer's development plans, in particular, construction and development of a new beer production plant. The Issuer undertakes not to use the funds attracted from issue of the new shares to pay off any loss or debt.


The Issuer's principal subsidiary established a new company – Global Beer Georgia Ltd ('GBG') which will build the new plant and sell the production on the local market as well as Armenia and Azerbaijan. The said Company executed trademark license agreements with Heineken, Amstel and Krušovice (Heineken Brouwerijen B.V., Amstel Brouwerij B.V., Heineken Česká republika), within the scope of which GBG will be the exclusive producer of the said brands in Georgia. In addition to the international brands, it is also planned to produce beer and lemonade under a new local brand.

Based on the forward-looking statements, the total project value without VAT is USD 37 million of which USD 13 million will be financed through issue of the new shares of JSC Teliani Valley and the remaining sum will be attracted from the international financial institutions and/or local banks and/or own funds.

Market Opportunity

Production of such brands on the local level creates new opportunities for JSC Teliani Valley and makes it commercially attractive due to lower production costs. In particular, the market value of Heineken beer (currently, the Company is the exclusive importer of this brand) will be significantly reduced once the local production is launched. JSC Teliani Valley also has an existing distribution network which can be leveraged on to simplify sales of the newly-launched locally branded beer. Following the completion of this project, the Company’s product portfolio will become more diversified and be filled with all the main alcoholic beverages. This will also improve their position in the distribution network and boost the potential to develop new trading outlets (such as retail trade, hotels and restaurant networks).


Figure 1: Georgian beer market – volume (KHL)




Source: Euromonitor

According to Euromonitor, total beer category reached 1,073 KHL in 2013 and is expected to continue moderate growth for next 11 years (approx. 3.5% CAGR). This moderate growth is expected to be driven by local brands and licensed brands development; further growth of imported beer brands market share is not expected. A significant opportunity in beer market in Georgia is present due to low consumption per capita and few players on the market:

Figure 2: Beer Consumption in Peer Countries 2014 (l/capita) **Figure 3: Domestic Market Segmentation, Q1 2015**



Source: Euromonitor



Source: GAMA Q1 2015

დამტკიცებულია

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

« 5 » მაისი 2016 წ.

ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის

№ -----

ფასიანი ქაღალდების საქართველოს
საიდენტიფიკაციო

№ -----

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ

სააქციო საზოგადოება „ლიბერთი კონსუმერ“ (საიდენტიფიკაციო კოდი 205154438)

აქციების ემისიის წინასწარი პროსპექტი

წინამდებარე ემისიის წინასწარი პროსპექტი შეეხება კომპანიის მიერ არაუმეტეს 156,140,351 (ასორმოცდათექვსმეტი მილიონ ასორმოციათას სამასორმოცდათერთმეტი) ცალი ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას („საემისიო აქციები“). საემისიო აქციები მიეკუთვნებიან იმავე კლასს, რომელსაც კომპანიის განთავსებული ჩვეულებრივი აქციები. საემისიო აქციების შეთავაზების მთლიანი ფასია არაუმეტეს 8,900,000 (რვა მილიონ ცხრაასი ათასი) აშშ დოლარი. თითო აქციის გამოსაშვები ღირებულება შეადგენს არანაკლებ 0.057 აშშ დოლარს. საემისიო აქციების წინასწარ პროსპექტში აღნიშნული რაოდენობა და ფასი საორიენტაციოა. დაზუსტებული მონაცემები მითითებული იქნება საბოლოო პროსპექტში.

აქციების ეს პროსპექტი („პროსპექტი“) გამოშვებულია სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის („კომპანია“ ან „ემიტენტი“) მიერ, რომელიც წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას დაარსებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2006 წლის 24 მაისს, საიდენტიფიკაციო კოდი 205154438, იურიდიული მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74ა.

ყველა საემისიო აქციის საჯარო შეთავაზება და განთავსება მოხდება ემიტენტის მიერ მათ შორის ნომინალური მფლობელების მეშვეობით.

აქციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ინვესტორები მზად უნდა იყვნენ თავიანთი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის. აქციებში ინვესტირებასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკის ფაქტორების შესახებ იხილეთ პროსპექტის ნაწილი - „რისკის ფაქტორები“ მე-18-21 გვერდზე.

აქციების საჯარო შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ კომპანიის (ემიტენტის) არსებული აქციონერებისთვის შეთავაზების მიზნით. ამ შეთავაზებით არ ხდება ახალი ინვესტორების მოძიება და მათთვის საემისიო აქციების შეთავაზება.

ეს პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე. აქ აღნიშნული ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ან ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება საბოლოო პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზებას ფასიანი ქაღალდების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ. შეთავაზებლის ფასიანი ქაღალდები არ დარეგისტრირებულა და არ დარეგისტრირდება ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ამ პროსპექტის გავრცელება და ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში, ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის მიყიდვა, შეიძლება კანონით იყოს აკრძალული და შესაბამისად არ შეიძლება წინამდებარე პროსპექტი გამოყენებული იქნეს ამგვარი იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის საჯარო შეთავაზებისათვის.

სარჩევი

| | |
|---|----|
| სამომავლო ანგარიშებზე გაკეთებული გათვლები | 3 |
| შეთავაზების ძირითადი პირობების შეჯამება | 4 |
| ემიტენტი კომპანიის შესახებ | 8 |
| <i>მიმოხილვა</i> | 8 |
| <i>კომპანიის საწესდებო კაპიტალი და აქციები</i> | 8 |
| <i>აქციონერები</i> | 8 |
| <i>ინფორმაცია კომპანიის აქციებზე განხორციელებული სავაჭრო გარიგებების შესახებ</i> | 8 |
| <i>ლიბერთი კონსუმერის აქციებზე (GTC) ბირჟის სავაჭრო სესიაზე დადებული გარიგებები</i> | 8 |
| <i>ლიბერთი კონსუმერის აქციებზე დაფიქსირებული არასაბირჟო გარიგებები</i> | 9 |
| <i>კომპანიის საქმიანობა</i> | 9 |
| <i>კომპანიის მართვა</i> | 11 |
| შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია | 12 |
| <i>მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია</i> | 12 |
| <i>მოგება / ზარალის ანგარიშების ანალიზი</i> | 14 |
| <i>კომპანიის დავალიანების ანალიზი</i> | 15 |
| <i>მიღებული სახსრების გამოყენება</i> | 17 |
| <i>რისკის ფაქტორები</i> | 18 |
| <i>ქვეყანასთან დაკავშირებული რისკები</i> | 18 |
| <i>კომპანიასთან დაკავშირებული რისკები</i> | 19 |
| <i>ინტერესთა კონფლიქტი</i> | 22 |
| <i>სხვა საყურადღებო ინფორმაცია</i> | 22 |
| <i>ემისიის დებულებები</i> | 24 |
| <i>ზოგადი ინფორმაცია</i> | 29 |

სამომავლო ანგარიშებზე გაკეთებული გათვლები

ეს პროსპექტი შეიძლება მოიცავდეს საპროგნოზო გათვლებზე გაკეთებულ განცხადებებს („საპროგნოზო განცხადებები“). აღნიშნული საპროგნოზო განცხადებების ამოცნობა შეიძლება ისეთი სიტყვებით, როგორცაა „შეიძლება“, „იქნება“, „მოსალოდნელია“, „მიგვაჩნია“, „შეფასებულია“, „გაგრძელდება“ ან სხვა მსგავსი სიტყვებით. საპროგნოზო განცხადებების ამოცნობა ასევე შესაძლებელია იმით, რომ ისინი არ ასახავენ მკაცრ ისტორიულ ან მიმდინარე ფაქტებს. ასეთი საპროგნოზო განცხადებები ყურადღებით უნდა იქნეს წაკითხული, რადგან ისინი ეხება კომპანიის სამომავლო პერსპექტივას, მოიცავს გათვლებს კომპანიის მომავალ საოპერაციო შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე, ან შეიცავს სხვა სახის პროგნოზებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. კომპანიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის კომპანიის მოლოდინის გაზიარება. თუმცა, მომავალში შეიძლება ისეთი მოვლენები განვითარდეს, რომელთა გათვლა ან გაკონტროლება კომპანიამ ვერ შეძლოს და ამ მოვლენების გამო რეალური შედეგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც სხვადასხვა ფაქტორზე დაყრდნობით არის განხილული. აღნიშნული ფაქტორები ყურადღებით უნდა იქნეს განხილული და მკითხველი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ საპროგნოზო განცხადებებს. აქციების შექენამდე, პოტენციური მყიდველმა უნდა გააცნობიეროს, რომ პროსპექტის ნაწილში - „რისკის ფაქტორები“ - მოყვანილი მოვლენების განვითარების შემთხვევაში კომპანიის საქმიანობა, საოპერაციო შედეგი და ფინანსური მდგომარეობა შესაძლოა გაუარესდეს. კომპანიის ან მისი სახელით გაკეთებული ყველა საპროგნოზო განცხადება კვალიფიცირდება და განხილული უნდა იქნეს შესაბამისი გამაფრთხილებელი განცხადებებისა და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც მოყვანილია ამ პროსპექტში. კომპანია არ არის ვალდებული განაახლოს რომელიმე საპროგნოზო განცხადება ამ პროსპექტის თარიღის შემდეგ ან აღნიშნული განცხადებები რეალურად განახორციელოს.

ფინანსური ინფორმაცია, აღრიცხვა და ანგარიშგება

ამ დოკუმენტში მოყვანილი ფინანსური ინფორმაცია ეფუძნება კომპანიის 2013, 2014 და 2015 წლების აუდირებულ ფინანსურ უწყისებს, რომლებიც თანდართულია წინამდებარე ემისიის პროსპექტზე დანართი №2-ის სახით. (ამასთანავე, კომპანიის 2014, 2013 და წინა წლების აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები ჩაბარებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში და სს საქართველოს საფონდო ბირჟაზე). კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით („ბაასს“), რომელიც გაცემულია საერთაშორისო საანგარიშგებო სტანდარტების საბჭოს მიერ.

კომპანია 2006 წლიდან რეგულარულად წარუდგენს ანგარიშგებას სს საქართველოს საფონდო ბირჟას (სადაც დაშვებულია მისი აქციები) და ეროვნულ ბანკს, ან კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, საჯაროს ხდის წლიურ აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ნახევარწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და მიმდინარე ანგარიშგებას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ფაქტებზე.

ვალუტა

ამ პროსპექტში გამოყენებულია შემდეგი სავალუტო ტერმინები:

- „ლარი“ ნიშნავს საქართველოს კანონიერ ვალუტას;
- „დოლარი“, „აშშ დოლარი“ ან „აშშდ“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების კანონიერ ვალუტას.

შეთავაზების ძირითადი პირობების შეჯამება

შეთავაზების ძირითადი პირობების შეჯამება მიმოიხილავს შეთავაზების მხოლოდ ძირითად პარამეტრებს. იგი არ არის ამომწურავი და მასში მოცემული ინფორმაცია განხილული უნდა იქნეს მხოლოდ მთლიანობაში პროსპექტის სხვა ნაწილებთან ერთად.

| | |
|-----------------------------|--|
| ემიტენტი | სააქციო საზოგადოება "ლიბერთი კონსუმერ" (სს „ლიბერთი კონსუმერ“) (საიდენტიფიკაციო კოდი 205154438) |
| გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი | ახალი ემისიის აქციები იქნება იგივე კლასის აქციები (ჩვეულებრივი აქცია, ნომინალით 0.01 ლარი, 1 აქცია 1 ხმის უფლებით), რომლებიც განთავსებულია კომპანიის მიერ, დაშვებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე კოდით GTC და მინიჭებული აქვს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი (ISIN) GE1100003114. |
| აქციის ფორმა | არამატერიალიზებული, ანუ აქციის რეგისტრირებულ მესაკუთრეებად მიიჩნევიან, რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში და ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში (სუბ-რეესტრებში) რეგისტრირებული აქციების მესაკუთრეები. |
| მთლიანი ემისიის ღირებულება | რაუმეტეს 8,900,000 (რვა მილიონ ცხრაასი ათასი) აშშ დოლარი |
| საემისიო აქციების რაოდენობა | არაუმეტეს 156,140,351 (ასორმოცდათექვსმეტი მილიონ ასორმოცი ათას სამასორმოცდათერთმეტი) ცალი |
| აქციის საემისიო ღირებულება | არანაკლებ 0.057 აშშ დოლარი |
| შეთავაზების მონაწილეები | კომპანიის მიერ შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ შეთავაზების სააღრიცხვო თარიღზე (სამუშაო დღის დასრულების მდგომარეობით) ემიტენტის აქციების რეგისტრირებულ მესაკუთრეთა მიმართ. შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისათვის კომპანიის არსებულ აქციონერებს – რეგისტრირებულ მესაკუთრეებს. ამასთან, კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეებს შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უშუალოდ ემიტენტი კომპანიისთვის შესყიდვის განაცხადის წარდგენით; ხოლო აქციათა იმ მესაკუთრეებს, რომელთა აქციებიც აღრიცხულია/შენახულია კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებული (ნომინალური) მფლობელების (მათ შორის, საბროკერო კომპანიების ან ბანკების) ნომინალურ მფლობელობაში, შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ამგვარი ნომინალური (რეგისტრირებული) მფლობელების მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილი არიან რეგისტრირებული მესაკუთრეების სახელით წარუდგინონ ემიტენტს შესაბამისი შესყიდვის განაცხადი. ამასთანავე, ნომინალური მფლობელებს შეუძლიათ მიმართონ ემიტენტს მხოლოდ და მხოლოდ მათ სუბ-რეესტრებში რეგისტრირებული მესაკუთრეების მიერ მათთვის წარდგენილ განაცხადებში მოცემული მითითებების შესაბამისად. აქციათა იმ მესაკუთრეებს, რომელთა აქციებიც აღრიცხულია/შენახულია ნომინალური მფლობელების ნომინალურ მფლობელობაში, შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე უშუალოდ. ამისათვის საჭიროა შესაბამისი ნომინალური მფლობელის მიერ მოხდეს კომპანიის ინფორმირება იმის შესახებ, რომ შესაბამისი რეგისტრირებული მესაკუთრე შეთავაზებაში მონაწილეობას მიიღებს უშუალოდ და არა ნომინალური მფლობელის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ამგვარ რეგისტრირებული მესაკუთრეს შეთავაზებაში მონაწილეობა შეუძლია იგივე პროცედურებისა და პირობების შესაბამისად, როგორც კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებულ |

მესაკუთრეებს. კომპანიის მიერ საემისიო აქციები განთავსდება რეგისტრირებულ მფლობელებზე. ნომინალური მფლობელები თავად არიან პასუხისმგებელნი, რომ კომპანიის მიერ მათზე განთავსებული აქციების ასახვა სათანადოდ მოხდეს მათ სუბ-რეგისტრებში რეგისტრირებულ იმ მესაკუთრე(ებ)ზე, რომელთაც წარადგინეს შესაბამისი განაცხად(ებ)ი აქციების შესყიდვის თაობაზე. კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ამგვარი რეგისტრირებული მესაკუთრე(ებ)ის წინაშე ნომინალური მფლობელების მიერ თავიანთი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო.

აქციების შეთავაზების დაწყების თარიღი და შეთავაზების განაცხადების მიღების დასრულების დღე

ახალი ემისიის აქციების შეთავაზება დაიწყება ემისიის წინასწარი პროსპექტის დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ კომპანიის მიერ დადგენილ თარიღზე (“შეთავაზების დაწყების თარიღი”). კომპანია გამოაქვეყნებს განაცხადს შეთავაზების დაწყების შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება: შეთავაზების დაწყების თარიღი, შეთავაზების სააღრიცხვო თარიღი, შეთავაზების განაცხადების მიღების დასრულების დღე, კომპანიის საბანკო რეკვიზიტები, შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შეთავაზების განაცხადი გამოქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და აგრეთვე განთავსდება კომპანიის ვებ-გვერდზე: www.libertyconsumer.ge და საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე www.gse.ge.

რეგისტრირებულ მფლობელებს (რეგისტრირებულ მესაკუთრეებსა და ნომინალურ მფლობელებს, რომლებიც შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისთვის ფლობენ აქციებს) უფლება აქვთ კომპანიას წარუდგინონ აქციების შესყიდვის შესახებ განაცხადები არაუგვიანეს შეთავაზების დაწყების თარიღიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, რაც ითვლება შეთავაზების განაცხადების მიღების დასრულების დღედ. იმ რეგისტრირებულმა მესაკუთრეებმა, რომელთაც ნომინალურ მფლობელებთან აქვთ აქციები, დროულად უნდა მიაწოდონ განაცხადები თავიანთ ნომინალურ მფლობელებს, რათა ამ უკანასკნელებმა შეძლონ ემიტენტისთვის ინფორმაციის დადგენილ ვადებში მიწოდება.

რეგისტრირებულმა მფლობელები, რომლებიც წარადგინენ განაცხადებს აქციების შექენაზე, ზემოთ მითითებული 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში ასევე ვალდებული არიან მათი წილის პროპორციულად შესაძენი საემისიო აქციების (“პროპორციული აქციები”) ნასყიდობის საფასურის დეპონირება კომპანიის იმ საბანკო ანგარიშზე, რაც გამოქვეყნდება შეთავაზების დაწყების შესახებ განაცხადში.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეგისტრირებული მესაკუთრე (უშუალოდ ან ნომინალური მფლობელი მეშვეობით) არ მიიღებს მონაწილეობას პროპორციული აქციების შესყიდვაში მისი წილის პროპორციულად, სხვა აქციონერებს ექნებათ უფლება შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით მათ საკუთრებაში არსებულიამგვარი აქციების პროპორციულად დამატებით შეიძინონ ის აქციები, რომელთა შექენაც არ მოხდა სხვა რეგისტრირებული მესაკუთრეების მიერ (“დამატებითი აქციები”). დამატებითი აქციების”) გადანაწილება სხვა მსურველ აქციონერებზე მოხდება ზემოაღნიშნული 7 (შვიდი) დღიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო 5 (ხუთი) დღიანი ვადის განმავლობაში “დამატებითი აქციების” შესყიდვის მსურველმა რეგისტრირებულმა მფლობელებმა (იმის გათვალისწინებით, რომ “დამატებითი აქციების” შექენის თაობაზე მათ მიერ მითითებული იყო კომპანიისათვის თავდაპირველად წარდგენილ აქციების შესყიდვის შესახებ განაცხადში) კომპანიის მიერ მითითებულ ანგარიშზე უნდა გადარიცხონ იმ “დამატებითი აქციების” ღირებულება, რომელსაც მათ აცნობებს კომპანია.

კომპანიის მიერ საემისიო აქციების გამოშვება მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბოლოო პროსპექტის დამტკიცების შემდეგ.

განთავსება დაიწყება საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით რეგისტრირებული მფლობელების მიერ მათზე

განსათავსებელი აქციების საფასურის სრულად დაფარვის დღიდან. შესაბამის რეგისტრირებულ მფლობელებზე საემისიო აქციების გადაცემის რეგისტრაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრაციის გზით.

შეთავაზების სააღრიცხვო თარიღი

შეთავაზების სააღრიცხვო თარიღად დადგენილ იქნეს წინასწარი პროსპექტის დამტკიცების დღის წინა სამუშაო დღე.

სახსრების გამოყენება

კომპანიის მიერ ახალი აქციების ემისიის მიზანს წარმოადგენს სახსრების მოზიდვა კომპანიის შვილობილი საწარმოს სს “თელიანი ველი”-ს აქციათა საჯარო შეთავაზებაში მონაწილეობის მისაღებად – სს “თელიანი ველის” იმ ახალი აქციების საფასურის გადასახდელად, რომელიც განთავსდება კომპანიაზე (“ემისიის მიზანი”). სს “თელიანი ველი”, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ აქტიურ შვილობილ საწარმოს აცხადებს აქციათა ემისიას მის მიერ განზრახული საინვესტიციო პროექტის – ლუდის ქარხნის მშენებლობისა და განვითარების - დაფინანსების მიზნით. კომპანიის მიერ სს “თელიანი ველის” აქციათა საკონტროლო პაკეტის და მის კაპიტალში კომპანიის არსებული წილობრივი მონაწილეობის შენარჩუნების მიზნით და ასევე კომპანიის შვილობილი საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ინვესტიციის განხორციელების უზრუნველყოფისთვის, კომპანიას მიზანშეწონილად მიაჩნია სს “თელიანი ველის” აქციათა ემისიაში მონაწილეობის მიღება მინიმუმ მის საკუთრებაში არსებული სს “თელიანი ველის” აქციების პროპორციული ოდენობით.

შესაბამისად, ახალი აქციების ემისიის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდება ემიტენტის შვილობილი საწარმოს სს “თელიანი ველის” გაფართოების გეგმების განხორციელებას, კერძოდ ახალი ლუდის ქარხნის მშენებლობასა და განვითარებას. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სს “თელიანი ველის” შვილობილი საწარმოს შპს “გლობალ ბიერ ჯორჯიას” მიერ, რომელიც განახორციელებს ლუდის ქარხნის მშენებლობას და შემდგომში მოახდენს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. აღნიშნულმა კომპანიამ გააფორმა სასაქონლო ნიშნის სალიცენზიო ხელშეკრულებები ჰეინეკენის, ამსტელისა და კრუშოვიცის სასაქონლო ნიშნების (ბრენდების) გამოყენებაზე, რომელთა ფარგლებშიც შპს “გლობალ ბიერ ჯორჯია” იქნება აღნიშნული ბრენდების ექსკლუზიური მწარმოებელი საქართველოში. კომპანიის მიერ ემისიის შედეგად მიღებული სახსრები გამოყენებული იქნება სს “თელიანი ველის” სააქციო კაპიტალში შენატანის განსახორციელებლად (ამ უკანასკნელის აქციათა საჯარო შეთავაზებაში მონაწილეობის მიღების გზით) ლუდის ქარხნის მშენებლობის პროექტის განვითარების დაფინანსების მიზნით.

განთავსების შეწყვეტა

კომპანია არ განთავსებს, შეწყვეტს ან შეაჩერებს განთავსებას და გააუქმებს ყველა განთავსებულ საემისიო აქციას (შეწყვეტისას ასეთის არსებობის შემთხვევაში) თუ რაიმე მიზეზით არ მოხდება კომპანიის შვილობილი საწარმოს სს “თელიანი ველის” მიერ ახალი აქციების გამოშვება და განთავსება, რაც შესაბამისად იწვევს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული “ემისიის მიზნის” მიღწევის შეუძლებლობას. განთავსების შეწყვეტისას ან შეჩერებისას კომპანიის აქცინერების მიერ საემისიო აქციებისთვის დებონირებული თანხები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დაუბრუნდება შესაბამის აქციონერებს.

განთავსების პროცედურა და წესი

საემისიო აქციების განთავსება მოხდება წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც სააღრიცხვო დღის (სამუშაო დღის დასრულების მდგომარეობით) დასრულების მდგომარეობით წარმოადგენენ კომპანიის აქციების რეგისტრირებულ მფლობელებს. საემისიო აქციების შეძენის უპირატესი უფლება ექნებათ სააღრიცხვო დღის (სამუშაო დღის) დასრულების მდგომარეობით რეგისტრირებულ მესაკუთრეებს (აქციონერებს) მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების ოდენობის პროპორციული რაოდენობით წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით. ამასთან, თუ რომელიმე რეგისტრირებული მესაკუთრე არ მიიღებს (უშუალოდ ან ნომინალური მფლობელის მეშვეობით) შეთავაზებაში მონაწილეობას, სხვა აქციონერებს ექნებათ უფლება შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით მათ საკუთრებაში არსებული აქციების პროპორციულად დამატებით შეიძინონ ის აქციები, რომელთა შეძენაც არ მოხდა სხვა რეგისტრირებული მესაკუთრეების მიერ. საემისიო აქციების გადაცემა და მათზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული იქნება კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში ან ნომინალურ მფლობელთა რეესტრებში (სუბრეესტრებში) შესაბამისი ჩანაწერების განსორციელების გზით. შეთავაზების პროცედურა და წესები უფრო დეტალურად მოცემულია წინამდებარე პროსპექტის ნაწილში – “შეთავაზების პროცედურა” (იხ. გვ. 23).

რეგისტრირებული მესაკუთრე

კომპანიის აქციათა რეგისტრირებული მესაკუთრე “ფასიანი ქაღალდების ბაზრის” შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით, მათ შორის, გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, რეგისტრირებულ მესაკუთრეებად კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეებთან ერთად მიიჩნევიან ნომინალური მფლობელების სუბ-რეესტრებში კომპანიის აქციათა რეგისტრირებული მესაკუთრეები (ანუ კომპანიის აქციონერები).

რეგისტრირებული მფლობელი

კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში კომპანიის აქციების რეგისტრირებული მფლობელი (რეგისტრირებული მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი) “ფასიანი ქაღალდების ბაზრის” შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით.

ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრი

რეესტრი, რომელსაც აწარმოებს რეგისტრატორი და რომელშიც აღნიშნული არიან კომპანიის აქციების რეგისტრირებული მფლობელები, მოცემულია მათ მფლობელობაში არსებული კომპანიის აქციების რაოდენობა, კლასი და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია

სს "ლიბერთი კონსუმერ", (ს/კ 205154438); მისამართი – საქართველო, ქ. თბილისი, 0159, ი. ბელიაშვილის ქუჩა №8; ტელ: (+995 32) 444 444 (7804); ელ.-ფოსტა: lc@libertyconsumer.ge

რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი“, იურიდიული მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 74ა. საკონტაქტო მისამართი : თბილისი (0186), ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, ტელ: (+995 32) 222-07-18, (+995 32) 222-07-49, ფაქსი: (+995 32) 225-18-76 ; ელ.-ფოსტა: info@kavkasreestri.ge

მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა

ემიტენტი კომპანიის შესახებ

მიმოხილვა

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. თბილისში, 2006 წლის 24 მაისს, მარეგისტრირებული ორგანო – თბილისის საგადასახადო ინსპექცია, სადირექტივო კოდი 205154438, კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74ა. კომპანიის ფაქტიური მისამართი და საკონტაქტო მისამართია: საქართველო, თბილისი, ა. ბელიაშვილის №8.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი და აქციები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,890,000 (ორი მილიონ რვაას ოთხმოცდაათი ათასი) ლარს, რომელიც დაყოფილია 289,000,000 (ორას ოთხმოცდაცხრა მილიონი) ჩვეულებრივ აქციად, აქციის ნომინალური ღირებულებით 0.01 ლარი. გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა შეადგენს 60,305,848 (სამოცი მილიონ სამას ხუთი ათას რვაას ორმოცდარვა) ცალ აქციას (საიდანაც 21,117 (ოცდაერთი ათას ას ჩვიდმეტი) არის ემიტენტის მიერ გამოსყიდული სახაზინო აქციები). კომპანიის შევსებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 603,058 (ექვსას სამი ათას ორმოცდათვრამეტი) ლარს.

აქციონერები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციათა მფლობელები არიან შემდეგი პირები:

| აქციონერის სახელი | გამოშვებული აქციების რაოდენობა | % გამოშვებულ აქციებში |
|------------------------------|--------------------------------|-----------------------|
| JSC BGEO Investments | 42,319,881 | 70.20% |
| JSC BGEO Group | 10,477,486 | 17.38% |
| Firebird Avrora Fund Ltd. | 2,314,934 | 3.84% |
| Firebird Republics Fund Ltd. | 2,194,364 | 3.64% |
| სხვა | 2,978,066 | 4.94% |
| ჯამი | 60,284,731 | 100.00% |

ინფორმაცია კომპანიის აქციებზე განხორციელებული სავაჭრო გარიგებების შესახებ

ინფორმაცია კომპანიის აქციებზე განხორციელებული სავაჭრო გარიგებების შესახებ საჯაროა და მოიპოვება საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე: www.gse.ge

საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე არსებული მონაცემებით 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 მარტამდე პერიოდში კომპანიის აქციებზე განხორციელდა შემდეგი სავაჭრო გარიგებები:

ლიბერთი კონსუმერის აქციებზე (GTC) ბირჟის სავაჭრო სესიაზე დადებული გარიგებები

| სესიის № | თარიღი | გარიგებები | მინ. ფასი | მაქს. ფასი | საშ. ფასი | დახურვის ფასი | მოცულობა | ღირებულება |
|----------|----------|------------|-----------|------------|-----------|---------------|-----------|------------|
| 2175 | 24/03/16 | 1 | 0.1100 | 0.1100 | 0.1100 | 0.1100 | 440 | 48.40 |
| 2076 | 28/10/15 | 1 | 0.1100 | 0.1100 | 0.1100 | 0.1100 | 10,000 | 1,100.00 |
| 2070 | 20/10/15 | 1 | 0.1100 | 0.1100 | 0.1100 | 0.1100 | 100 | 11.00 |
| 2030 | 21/08/15 | 1 | 0.1326 | 0.1326 | 0.1326 | 0.1326 | 1,737,561 | 230,400.59 |
| 2003 | 15/07/15 | 1 | 0.1000 | 0.1000 | 0.1000 | 0.1000 | 24,000 | 2,400.00 |
| 1921 | 16/03/15 | 1 | 0.1000 | 0.1000 | 0.1000 | 0.1000 | 45,041 | 4,504.10 |

ლიბერთი კონსუმერის აქციებზე დაფიქსირებული არასაბირჟო გარიგებები

| თარიღი | გარიგებები | მინ. ფასი | მაქს. ფასი | მოცულობა | ღირებულება | |
|----------|------------|-----------|------------|----------|------------|--------------|
| 24/12/15 | | 1 | 0.1370 | 0.1370 | 8,739,433 | 1,197,302.32 |
| 27/04/15 | | 1 | 0.1100 | 0.1100 | 1,842,992 | 202,729.12 |

კომპანიის საქმიანობა

ემიტენტი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი საქმიანობა მოიცავს საინვესტიციო პორტფელის მართვას. კომპანიას თავისი საინვესტიციო პორტფელის ფარგლებში ყავს რამდენიმე შვილობილი ორგანიზაცია. მათგან აქტიურ საქმიანობას ეწევა მხოლოდ სს „თელიანი ველი“ და სს „თელიანი ველის“ 100%-იანი შვილობილი კომპანიები შპს „თელიანი თრეიდინგი“ (საქართველო) და შპს „თელიანი თრეიდინგი“ (უკრაინა);

| შვილობილი კომპანია | საქმიანობა | პირდაპირი წილი (%) | არაპირდაპირი წილი (%) ¹ | ქვეყანა |
|------------------------|--|--------------------|------------------------------------|------------|
| სს პრაიმ ფიტნესი | უძრავი ქონების მესაკუთრე | 100.00% | - | საქართველო |
| შპს ინტერტური | ტურისტული სააგენტო | 99.97% | - | საქართველო |
| სს თელიანი ველი | ალკოჰოლური სასმელების წარმოება/დისტრიბუცია | 50.23% | - | საქართველო |
| შპს თელიანი თრეიდინგი | სადისტრიბუციო კომპანია | - | 50.23% | საქართველო |
| შპს თელიანი თრეიდინგი | სადისტრიბუციო კომპანია | - | 50.23% | უკრაინა |
| შპს გლობალ ბიერ ჯორჯია | ლუდის წარმოება | - | 50.23% | საქართველო |
| შპს Le Caucase | ბრენდის წარმოება | - | 50.23% | საქართველო |
| შპს კუპა | მუხის კასრების წარმოება | - | 35.16% | საქართველო |

- სს პრაიმ ფიტნესი ფლობს უძრავ ქონებას ჭავჭავაძის გამზირი №78-ში, რაც წარმოადგენს 1,334 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე დამატებულ ცალკე მდგომ 1,805 კვ.მ ფართობის შენობას. შენობა შეფასებულია 2013 წლის ოქტომბერში 2,246,000 ლარის ოდენობის საბაზრო ღირებულებით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.
- შპს ინტერტური კომერციულ საქმიანობას არ ეწევა 2012 წლის მაისიდან.
- შპს თელიანი თრეიდინგი (საქართველო) დაარსდა 2006 წელს და წარმოადგენს წამყვან სადისტრიბუციო კომპანიას საქართველოში და სს თელიანი ველის მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციის გარდა მის პორტფელში არის ასევე საერთაშორისო არყის (Medoff, Sobieski, Mernaya) და ლუდის (Heineken, Krusovice) ბრენდები. კომპანია ასევე ახდენს წველების, ყავის და ბრენდის დისტრიბუციას.
- შპს თელიანი თრეიდინგი (უკრაინა) დაარსდა 2008 წელს. ის არის თელიანი ველის პროდუქტების ექსკლუზიური დისტრიბუტორი უკრაინაში და კონცენტრირდება ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების დისტრიბუციაზე.
- კომპანიის ორი შვილობილი (შპს Le Caucase და შპს კუპა) არ არის აქტიური 2009 წლიდან.
- შპს გლობალ ბიერ ჯორჯია დაარსდა 2014 წელს ლუდის პროექტის განხორციელების მიზნით და ჯერჯერობით არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა.

იქიდან გამომდინარე, რომ ემიტენტის შვილობილ კომპანიებს შორის აქტიურ საქმიანობას ეწევა მხოლოდ სს „თელიანი ველი“ და მისი შვილობილი ორგანიზაციები (შპს „თელიანი თრეიდინგი“ (საქართველო) და შპს „თელიანი თრეიდინგი“ (უკრაინა) ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი მხოლოდ სს „თელიანი ველის“ საქმიანობა.

სს „თელიანი ველი“ წარმოადგენს შპს „თელიანის ველი“-ს სამართალმემკვიდრეს, რომელიც დაარსდა 1997 წლის 25 სექტემბერს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. შპს „თელიანის ველი“-ს გარდაქმნა სააქციო საზოგადოებად განხორციელდა 2000 წლის 30 ივნისს. კომპანიის საქმიანობის საგანია ალკოჰოლური სასმელების წარმოება, შესყიდვა, რეალიზაცია და ნებისმიერი მომიჯნავე საქმიანობა.

¹ სს „თელიანი ველი“-ს შვილობილ კომპანიებში არსებული არაპირდაპირი წილი

2015 წელს კომპანიამ მიიღო 29.5 მლნ. ლარის მთლიანი შემოსავალი, მათ შორის 49.9% ღვინის, 39.6% იმპორტირებული სასმელების, 8.1% ცქრიალა ღვინის და 0.5% ბრენდის გაყიდვებიდან. 2014 წელს კომპანიის მთლიანი შემოსავალი შეადგენდა 30.8 მლნ. ლარს, მათ შორის 55.2% ღვინის, 33.0% იმპორტირებული სასმელების, 8.7% ცქრიალა ღვინის და 1.6% ბრენდის გაყიდვებიდან. 2013 წელს კომპანიის მთლიანი შემოსავალი შეადგენდა 35.0 მლნ. ლარს, აქედან შემოსავლის ძირითადი ნაწილი, კერძოდ 51.4% დაგენერირდა ღვინის გაყიდვებიდან, 36.6% იმპორტირებული სასმელების, 7.4% ცქრიალა ღვინის, 2.1% ბრენდის გაყიდვებიდან. საზოგადოების მიერ წარმოებული და იმპორტირებული ალკოჰოლური სასმელები ფარავს სუპერ-პრემიუმ, პრემიუმ და საშუალო სეგმენტებს. კომპანია მრავალი ღვინის კონკურსის გამარჯვებულია, მათ შორის Decanter, International Wine Challenge, International Wine and Spirit Competition და ა.შ.

სს „თელიანი ველი“ ფლობს 100 ჰექტარზე გაშენებულ საკუთარ ვენახებს საქართველოში, კახეთის რეგიონში. ამავე ტერიტორიაზე არის განთავსებული 7 ოთახიანი სასტუმრო ღვინის დეგუსტაციის ოთახით და ღვინის მაღაზიით. მისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ისაკიანის ჩიხში; ოფისის ტერიტორიაზე ასევე განლაგებულია 750მ² ფართის მქონე საწყობი, ასევე კომპანია ამუშავებს 5 რეგიონალურ სადისტრიბუციო ფილიალს და შესაბამის საწყობებს (1,200მ²). კომპანიის ტექნოლოგიური ხაზის სიმძლავრეა 5 მილიონი ლიტრი წელიწადში, 2015 წელს კომპანიამ აწარმოა დაახლოებით 2.5 მილიონი ლიტრი.

სს „თელიანი ველი“ ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში ღვინის წარმოებაში და პროდუქციას ყიდის როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გააქვს ექსპორტზე.

საქართველოში საკმაოდ მაღალი კონკურენტული გარემოა ღვინის წარმოების ინდუსტრიაში. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ არ არსებობს სანდო და დეტალური საჯარო სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადეკვატური დასკვნების და ხარისხიანი ანალიზის გაკეთება კომპანიის კონკურენტუნარიანობის და პოტენციალის შესახებ. სანდო საბაზისო მონაცემების არარსებობის პირობებში ამ აბზაცში მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია დიდი ალბათობით შეიცავდეს მნიშვნელოვან ცდომილებებს. შესაბამისად, კომპანია აფრთხილებს პოტენციურ ინვესტორებს ამგვარ ინფორმაციაზე დაყრდნობით საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების მაღალი რისკის შესახებ და აცხადებს, რომ კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ქვემოთ (ამ აბზაცში) მოცემული ინფორმაციის სისწორეზე და მასზე დაყრდნობით კომპანიის აქციებში ინვესტირების შესახებ ინვესტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კომპანიის გათვლებით ლოკალურ ბაზარზე ბოთლის ღვინის გაყიდვების 95% 7-8 კომპანიაზე მოდის, რომელთა შორის სს „თელიანი ველი“ ლიდერია საბაზრო წილის დაახლოებით 40 %-ის ფარგლებში. ამ სეგმენტში კომპანიის ყველაზე დიდი კონკურენტია სს „თელავის ღვინის მარანი“ საორიენტაციოდ ბაზრის 25 %-ანი წილით, შემდგომ სავარაუდოდ მოდის სს „თბილღვინო“ და 4-5 შედარებით ცნობილი კომპანია 3-4% პროცენტის წილით. დანარჩენი კომპანიების საბაზრო წილი კომპანიის გათვლებით არ აღემატება 1%-ს.

რაც შეეხება ექსპორტს, ძირითადი საქსპორტო ქვეყნებია: უკრაინა, რუსეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბელორუსია, ყაზახეთი, პოლონეთი, ამერიკის შეერთებული შტატები. კომპანია ახორციელებს საქსპორტო ქვეყნების დივერსიფიკაციას, რასაც ხელს უწყობს 2014 წლის ივნისში საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება. შეთანხმება მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან. ხელშეკრულების შედეგად საქართველოს გაუმარტივდა წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, დაახლოებით 500 მილიონი მომხმარებლის საერთო-საბაჟო ზონაზე, რაც თავის მხრივ იწვევს ექსპორტის წახალისებას და ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის გაუმჯობესებას. ევროკავშირის ქვეყნების პარალელურად კომპანია ასევე აქტიურად მუშაობს ჩინეთის და აშშ-ს ბაზრებზე საკუთარი პროდუქციის ექსპორტის მიმართულებით.

საზოგადოებას მიმდინარე ეტაპზე აქვს 5 შვილობილი კომპანია, ესენია:

| შვილობილი კომპანია | საქმიანობა | წილი (%) | ქვეყანა |
|------------------------|-------------------------|----------|------------|
| შპს თელიანი თრეიდინგი | სადისტრიბუციო კომპანია | 100.0% | საქართველო |
| შპს თელიანი თრეიდინგი | სადისტრიბუციო კომპანია | 100.0% | უკრაინა |
| შპს გლობალ ბიერ ჯორჯია | ლუდის წარმოება | 100.0% | საქართველო |
| შპს Le Caucase | ბრენდის წარმოება | 100.0% | საქართველო |
| შპს კუპა | მუხის კასრების წარმოება | 70.0% | საქართველო |

2012 წელს სს „თელიანი ველმა“ დაიწყო 15 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ახალი პროექტის განხორციელება, რომელიც მიმდინარე ეტაპზე უკვე დასრულებულია. კერძოდ, პროექტის ფარგლებში, ლენის ტურიზმის განვითარების ეგიდით, განხორციელდა ახალი სადგეუსტაციო სივრცის აშენება, არსებული სასტუმროს კეთილმოწყობა, ახალი, თანამედროვე აი-თი სისტემის დანერგვა და ლენისა და ცქრილა ლენის წარმოების დახვეწა და გაფართოება. ასევე, ამავე პერიოდში დაიგეგმა მარკეტინგული კამპანია და გამოიყო ფულადი სახსრები ახალ ბაზრებზე გაყიდვების გაფართოების მიზნით, კერძოდ აშშ-ში. 15 მილიონი აშშ დოლარიდან, ჯამში 8 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსების მოზიდვა მოხდა OPIC-დან (Overseas Private Investment Corporation) 2012-2014 წლებში, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 7 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით დაფინანსდა ახალი აქციების ემისიის და სს „თელიანი ველის“ მიერ თანხების რეინვესტირების გზით.

კომპანიის მართვა

ემიტენტის მენეჯმენტის უმაღლესი საფეხური და ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები არის აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის საერთო მართვაზე, სტრატეგიის განსაზღვრისა და ზოგადი ზედამხედველობის ჩათვლით. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს გენერალურ დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი სამეთვალყურეო საბჭოს და გენერალური დირექტორის ძირითადი ფუნქციები. კომპანიის ყველა მმართველობითი ორგანოს დეტალური ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები ასახულია კომპანიის წესდებაში.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ზოგად მართვაზე და იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და/ან კომპანიის წესდების მიხედვით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი პირისგან:
არჩილ გაჩეჩილაძე – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
ავთანდილ ნამიჩიშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
დევიდ ოსტბი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა დევიდ ოსტბიმ (რომელიც წარმოადგენდა ემიტენტის ყოფილი აქციონერის Salink Ltd.-ს მიერ ნომინირებულ წევრს) 2016 წლის 11 იანვარს წერილით მიმართა ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან მისი გადადგომის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან დევიდ ოსტბის გადადგომის საკითხის განხილვამდე, დევიდ ოსტბი საკუთარი წერილობითი განცხადების საფუძველზე არ ესწრება და არ მონაწილეობს ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში.

გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორია – თამარ ქაჯაია (პირადი №01006001719)

გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე და კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია

მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია

კონსოლიდირებული ანგარიშგება წარმოდგენილია 2013 წლის 31 დეკემბრის, 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საბალანსო უწყისის მონაცემები, ლარი ('000)

| | 2015 | 2014 | 2013 |
|--|---------------|---------------|---------------|
| აქტივები | | | |
| მიმდინარე აქტივები | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 3,480 | 3,977 | 5,358 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 3,481 | 1,265 | 2,061 |
| დებიტორული და სხვა დავალიანებები | 6,537 | 7,966 | 9,023 |
| მატერიალურ-საწარმოო მარაგები | 10,764 | 11,808 | 8,762 |
| წინასწარ გადახდები და სხვა მიმდინარე აქტივები | 551 | 704 | 850 |
| საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა | 2,074 | 2,018 | 1,989 |
| მიმდინარე მოგების საგადასახადო აქტივები | 60 | 28 | - |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 8 | 8 | 192 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 26,955 | 27,774 | 28,235 |
| არამიმდინარე აქტივები | | | |
| საინვესტიციო ქონება | 2,192 | - | - |
| ძირითადი საშუალოებები | 10,842 | 12,042 | 11,835 |
| ბიოლოგიური აქტივები | 2,170 | 1,227 | 1,201 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები | 341 | 72 | 109 |
| არამატერიალური აქტივები | 3,338 | 3,319 | 3,459 |
| წინასწარ გადახდილი თანხები ძირითადი საშუალებების შესაძენად | 1,309 | 0 | 0 |
| სულ არამიმდინარე აქტივები | 20,192 | 16,660 | 16,604 |
| სულ აქტივები | 47,147 | 44,434 | 44,839 |
| ვალდებულებები | | | |
| მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| კრედიტორული და სხვა დავალიანებები | 2,876 | 3,016 | 2,886 |
| სახელმწიფო სუბსიდიები | - | 4 | 155 |
| მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი | 5,154 | 2,358 | 3,139 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები | 604 | 891 | 729 |
| სხვა ვალდებულებები | 3,285 | 2,710 | 2,981 |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | 11,919 | 8,979 | 9,890 |
| არამიმდინარე ვალდებულებები | | | |
| სესხის გრძელვადიანი ნაწილი | 9,605 | 9,233 | 8,588 |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები | 1,527 | 1,135 | 1,064 |
| სულ არამიმდინარე ვალდებულებები | 11,132 | 10,368 | 9,652 |

| | | | |
|--|---------------|---------------|---------------|
| სულ ვალდებულებები | 23,051 | 19,347 | 19,542 |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 603 | 603 | 603 |
| დამატებით გადახდილი კაპიტალი | 36,409 | 36,409 | 36,409 |
| აკუმულირებული ზარალი | -21,335 | -20,600 | -21,279 |
| სხვა რეზერვები | -414 | -597 | 292 |
| კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი | 15,263 | 15,815 | 16,025 |
| უმცირესობის წილი | 8,833 | 9,272 | 9,272 |
| სულ კაპიტალი | 24,096 | 25,087 | 25,297 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 47,147 | 44,434 | 44,839 |

მონაცემები მოგება ზარალის უწყისიდან, ლარი ('000)


| | 2015 | 2014 | 2013 |
|--|----------------|----------------|----------------|
| საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები | 29,527 | 30,776 | 34,718 |
| წმინდა მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან | - | 116 | - |
| ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება | - | 27 | - |
| სხვა შემოსავლები | 3 | 63 | 243 |
| სულ შემოსავალი | 29,530 | 30,982 | 34,961 |
| გაყიდული საქონლის ხარჯი | -15,222 | -14,481 | -17,776 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | -7,636 | -7,264 | -8,671 |
| ხელფასები და თანამშრომლების სხვა ანაზღაურება | -3,551 | -3,584 | -3,616 |
| გაუფასურების ხარჯები | -238 | -681 | -1,156 |
| ცკეთა და ამორტიზაცია | -711 | -601 | -577 |
| საკუთრების გაყიდვით მიღებული ზარალი | -4 | | -5 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | -595 | -251 | -33 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -27,957 | -26,862 | -31,834 |
| საოპერაციო მოგება | 1,572 | 4,120 | 3,127 |
| ფინანსური შემოსავალი | 78 | 111 | 213 |
| დაფინანსების ხარჯი | -1,109 | -1,102 | -910 |
| უცხოური ვალუტის გადაყვანიდან მიღებული წმინდა ზარალი | -2,142 | -824 | -117 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 897 | 80 | 433 |
| სხვა არასაოპერაციო ზარალი | -8 | -49 | -657 |
| მოგება გადასახადით დაბეგვრამდე | -711 | 2,336 | 2,089 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | -644 | -776 | -2,502 |
| წმინდა მოგება/ (ზარალი) | -1,355 | 1,560 | -413 |

კომპანიას არ გააჩნია დივიდენდების გაცემის საშუალო ან გრძელვადიანი დამტკიცებული პოლიტიკა. კომპანიას ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ გაუნაწილებია მოგება და არ დაურიგებია დივიდენდები. არც ამჟამად არსებობს დივიდენდების გაცემაზე გადაწყვეტილებების მიღების პროგნოზირების რაიმე საშუალება. სამომავლოდ მოგების განაწილება დამოკიდებული იქნება კომპანიის საქმიანობის შედეგებზე და აქციონერთა კრებების გადაწყვეტილებებზე.

მოგება / ზარალის ანგარიშების ანალიზი


ქვემოთ მოცემული ანალიზი წარმოდგენილია კომპანიის კონსოლიდირებული ანგარიშების საფუძველზე რომელიც მნიშვნელოვნად ასახავს კომპანიის ერთადერთი ძირითადი აქტივის სს თელიანი ველის ფინანსურ ინფორმაციას

გაყიდვების მოცულობა, 2014, 2015 ფინანსური წლებისათვის, ლარი 000




კომპანიის გაყიდვების მოცულობა 2015 წელს შემცირდა 4.2%-ით და შეადგინა 29.5 მლნ ლარი. ეს შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ღვინის გაყიდვების ვარდნით, რომელიც 17 მლნდან შემცირდა 14.7 მლნმდე 2015 წელს (-13.2%). ზრდის ტენდენცია იყო ლუდის გაყიდვებში, რომელიც 2014 წლის 3.4 მლნდან გაიზარდა 4.5 მლნმდე 2015 წელს (+31%).

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2014, 2015 ფინანსური წლებისთვის, ლარი 000



ზრდის ტენდენცია შეინიშნება კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაშიც, რაც ძირითადად გამოწვეული იყო გადაყიდულ საქონელზე გადასახდელი აქციზის ოდენობის ზრდით.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა 2015




2015 წელს კომპანიას საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები გაეზარდა 3.1%-ით და შეადგინა 11,2 მლნ ლარი. ამ საოპერაციო ხარჯების სამი მთავარი კომპონენტია:

- მარკეტინგი – 5.7 მლნ ლარი
- ხელფასები – 3.2 მლნ ლარი
- საოფისე მოწყობილობის ხარჯები – 0.5 მლნ ლარი

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ აუდიტირებული დასკვნის შენიშვნა 23 და 24.

საოპერაციო მოგება და მარჟა 2014, 2015 ფინანსური წლებისთვის, ლარი 000



კომპანიის დავალიანების ანალიზი

კომპანიის სესხები გაიზარდა 27%-ით 2015 წელს 11,591 ათასი ლარიდან 14,759 ათას ლარამდე.

| | 2015 | 2014 |
|--|---------------|---------------|
| გრძელვადიანი პროცენტითი სესხები და კრედიტები | 9,605 | 9,233 |
| გრძელვადიანი პროცენტითი სესხებისა და კრედიტების მიმდინარე ნაწილი | 2,329 | 1,812 |
| სხვა გრძელვადიანი პროცენტითი სესხები და კრედიტები | 2,825 | 546 |
| სულ | 14,759 | 11,591 |

კომპანიის ვალდებულებების 38% არის მიმდინარე. ანალოგიური მაჩვენებელი 2014 წელს 20% იყო.

| გადასახდელი სესხები | 2015 | 2014 |
|---------------------|---------------|---------------|
| 1 წლის განმავლობაში | 5,621 | 2,358 |
| 1-დან 5 წლამდე | 8,557 | 7,248 |
| 5 წლის შემდეგ | 581 | 1,985 |
| სულ სესხები | 14,759 | 11,591 |

კომპანიის ვალდებულებების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. 81% აშშ დოლარში, 9% კი ევროში.

| უზრუნველყოფილი | ვალუტა | დაფარვის თარიღი | თანხა 2015 წლის 31 დეკემბრისათვის |
|--|--------|-----------------|-----------------------------------|
| უცხოური კერძო ინვესტიციების კორპორაცია | აშშდ | მარტი 2021 | 11,934 |
| თიბისი ბანკი | ლარი | მარტი 2016 | 750 |
| საქართველოს ბანკი | ლარი | მარტი 2016 | 693 |
| გალტ ენდ ტაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედ | ევრო | ივნისი 2016 | 1,310 |
| დარიცხული პროცენტი | აშშდ | | 62 |
| დარიცხული პროცენტი | ლარი | | 10 |
| სულ | | | 14,759 |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მიმდინარე აქტივების რა ნაწილი ფინანსდება კრედიტორული დავალიანებებიდან:

| კრედიტორული დავალიანებები/მიმდინარე აქტივები, 000 ლარი | 2015 | 2014 |
|--|--------|--------|
| მიმდინარე აქტივები | 26,955 | 27,774 |

| | | |
|---|------------|------------|
| კრედ. დავალიანებები | 14,759 | 11,591 |
| კრედიტორული დავ. მიმდინარე აქტივების %-ის სახით | 55% | 42% |

2014 და 2015 წლების ბოლოს კომპანია ინარჩუნებდა 4 და 3.5 მილიონი ლარის ოდენობის ფულს და ფულის ექვივალენტებს რაც მიუთითებს კომპანიის სწორ ფულადი სახსრების მართვის პროცედურებზე.

| | 2015 | 2014 |
|--|-------------|-------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | 3,803 | (144) |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები | (4,537) | (100) |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან | 8 | (1,137) |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში | 3,977 | 5,358 |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს | 3,480 | 3,977 |

მიღებული სახსრების გამოყენება

კომპანიის მიერ ახალი აქციების ემისიის მიზანს წარმოადგენს სახსრების მოზიდვა კომპანიის შვილობილი საწარმოს სს “თელიანი ველი“-ს აქციათა საჯარო შეთავაზებაში მონაწილეობის მისაღებად. სს “თელიანი ველი”, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ აქტიურ შვილობილ საწარმოს აცხადებს აქციათა ემისიას მის მიერ განზრახული საინვესტიციო პროექტის – ლუდის ქარხნის მშენებლობისა და განვითარების - დაფინანსების მიზნით. კომპანიის მიერ სს “თელიანი ველის” აქციათა საკონტროლო პაკეტის და მის კაპიტალში კომპანიის არსებული წილობრივი მონაწილეობის შენარჩუნების მიზნით და ასევე კომპანიის შვილობილი საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ინვესტიციის განხორციელების უზრუნველყოფისთვის, კომპანიას მიზანშეწონილად მიჩნია სს “თელიანი ველის” აქციათა ემისიაში მონაწილეობის მიღება მინიმუმ მის საკუთრებაში არსებული სს “თელიანი ველის” აქციების პროპორციული ოდენობით.

შესაბამისად, ახალი აქციების ემისიის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდება ემიტენტის შვილობილი საწარმოს სს “თელიანი ველის” გაფართოების გეგმების განხორციელებას, კერძოდ ახალი ლუდის ქარხნის მშენებლობასა და განვითარებას, რომლის განსახორციელებლადაც სს “თელიანი ველმა” დაარსა ახალი კომპანია – შპს “გლობალ ბიერ ჯორჯია”. სს “თელიანი ველის” მიერ წინამდებარე შეთავაზებით მიღებული სახსრები თავის მხრივ ინვესტირებული იქნება შპს “გლობალ ბიერ ჯორჯიას” კაპიტალში, რომელიც განახორციელებს ლუდის ქარხნის მშენებლობას და შემდგომში მოახდენს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. აღნიშნულმა კომპანიამ გააფორმა სასაქონლო ნიშნის სალიცენზიო ხელშეკრულებები ჰეინეკენის, ამსტელის და კრუშოვიცის ბრენდებზე (HEINEKEN BROUWERIJEN B.V, AMSTEL BROUWERIJ B.V, Heineken Česká republika), რომლის ფარგლებშიც შპს “გლობალ ბიერ ჯორჯია” იქნება აღნიშნული ლუდის ბრენდების ექსკლუზიური მწარმოებელი საქართველოში. ასევე იგი მოახდენს მოცემული ბრენდების რეალიზაციას აზერბაიჯანსა და სომხეთში. საერთაშორისო ბრენდების პარალელურად ასევე იგეგმება ახალი ადგილობრივი ბრენდის ქვეშ ლუდის წარმოება და ლიმონათების ხაზის გაშვება.

შპს “გლობალ ბიერ ჯორჯიამ” უკვე გააფორმა ან იმყოფება ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში ქარხნის მშენებლობისა და აღჭურვისთვის საჭირო სამუშაოებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესყიდვაზე. სალიცენზიო ხელშეკრულებებით დადგენილი ვადების გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების დაწყება იგეგმება 2016 წლის მაისში. სასაქონლო ნიშნის სალიცენზიო ხელშეკრულებების თანახმად ქარხანამ პროდუქციის გამოშვებას შეძლებს 2016 წლის დეკემბრიდან.

აღნიშნული ბრენდების ადგილობრივად წარმოება სს “თელიანი ველისთვის” ქმნის ახალ შესაძლებლობებს და გაზდის მას კონკურენტუნარიანს დაბალი ფასებიდან გამომდინარე. კერძოდ ლუდი ჰეინეკენის საბაზრო ფასი (მიმდინარე ეტაპზე სს “თელიანი ველი” არის აღნიშნული ბრენდის ექსკლუზიური იმპორტიორი) მნიშვნელოვნად შემცირდება მას შემდეგ, რაც გაეშვება პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ქარხანა. სს “თელიანი ველს” ასევე უკვე გააჩნია თავისი სადისტრიბუციო ქსელი, რაც გაამარტივებს ადგილობრივად წარმოებული ლუდის გაყიდვებს. ლუდის ბაზრის ათვისების ხარჯზე კომპანიის პორტფელი გახდება მეტად დივერსიფიცირებული და შეივსება ალკოჰოლური სასმელების ყველა ძირითადი ერთეულით. აღნიშნული გარემოება გააუმჯობესებს საზოგადოების პოზიციას სადისტრიბუციო ქსელში და გაზრდის პოტენციალს იმისათვის, რომ მოხდეს ახალი სავაჭრო წერტილების ათვისება (როგორც საცალო სავაჭრო ასევე სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი)

წინასწარ გათვლებზე დაყრდნობით პროექტის ჯამური ღირებულება დღ-ს გარეშე შეადგენს 37.0 მლნ აშშ დოლარს; მოცემული თანხიდან 13 მლნ. აშშ დოლარი დაფინანსდება სს “თელიანი ველის” მიერ ახალი აქციების ემისიის გზით, ხოლო დარჩენილი თანხის მოზიდვა მოხდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ან/და ადგილობრივი ბანკებიდან ან/და საკუთარი სახსრებით. ამჟამად სს “თელიანი ველი” აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ადგილობრივ ბანკებთან შპს “გლობალ ბიერ ჯორჯია“-ს მიერ პროექტის განსახორციელებლად ფინანსური რესურსის მისაღებად.

რისკის ფაქტორები

ვინაიდან, რომ კომპანიის ერთადერთი აქტიური შვილობილი კომპანია არის სს თელიანი ველი, რისკის ფაქტორები განხილულია სს თელიანი ველის და მისი შვილობილი კომპანიების წინაშე არსებული რისკების კრილშიც.

ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პოტენციური აქციონერები ყურადღებით უნდა გაეცნონ ამ პროსპექტში მოყვანილ მთელ ინფორმაციას, რაც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ რისკის ფაქტორებს, რომელიც დაკავშირებულია ზოგადად ქართულ კომპანიაში და კერძოდ ამ პროსპექტით გათვალისწინებულ ემიტენტ კომპანიაში ინვესტირებასთან. მართალია, პოტენციური ინვესტორების ყურადღება ინვესტირების სწორედ ამ პროსპექტით გათვალისწინებული შესაძლებლობისადმი არის მიპყრობილი, ის არ არის ერთადერთი და ინვესტირების სხვა ალტერნატივებიც შეიძლება არსებობდეს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს აქციებში ინვესტირებასთან მიმართებაში. პოტენციურმა მყიდველებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ განვითარებადი ბაზრები სწრაფად ცვალებადია და ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია შეიძლება მოძველებული იყოს ან მალე მოძველდეს.

ქვეყანასთან დაკავშირებული რისკები

პოლიტიკური და სოციალური რისკები

მიმდინარე ეტაპზე კომპანიის ძირითადი შვილობილი საწარმოს – სს “თელიანი ველის” და მისი შვილობილი კომპანიების გაყიდვები დამოკიდებულია როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე. შესაბამისად, კომპანიის საოპერაციო შედეგებზე აისახება როგორც საქართველოში, ასევე იმ ქვეყნებში არსებული რისკები, სადაც ის ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს.

გასული წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები განიცადა. გასათვალისწინებელია რეგიონალური გეოპოლიტიკური დაპირისპირების უარყოფითი ზეგავლენა. საქართველოში და რეგიონის სხვა ქვეყნებში, როგორცაა რუსეთი და უკრაინა, არახელსაყრელმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა და სხვა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შილობილ საწარმოზე და შესაბამისად კომპანიაზე. კერძოდ, ისეთმა თეორიულად დასაშვებმა მოვლენებმა, როგორცაა სოციალური მღელვარება, ეთნიკური ძალადობა, კრიმინალური ვითარების გაუარესება ან კორუფციის დონის ზრდა, კანონმდებლობის ცვლილება (ან არსებული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის ცვლილება), გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შილობილ საწარმოზე და შესაბამისად კომპანიაზე. აგრეთვე გასათვალისწინებელია რისკი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას სახელმწიფო ორგანოების არამართლზომიერი ქმედებებით ან სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მათთვის მინიჭებული უფლებების თვითნებურად გამოყენების, საქმის მოსმენის ან წინასწარი შეტყობინების გარეშე კანონთან შეუსაბამო ქმედებების განხორციელების შემთხვევაში. ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა (მათი არსებობის/წარმოშობის შემთხვევაში), შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა და მომავალ პერსპექტივაზე.

ეკონომიკური რისკები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური ფაქტორები, მაგ. მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსი, ასევე უმუშევრობა, ფიზიკური პირების შემოსავლები და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის მოგება/ზარალზე, მარჟებსა და კომპანიის საქონლისა და მომსახურების მოთხოვნადობაზე. რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საქართველოს ბაზარზე რყევებმა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტების ლიკვიდურობაზე, საქმიანობასა ან ფინანსურ მდგომარეობაზე. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება. ამგვარ გარემოში შეიძლება შემცირდეს მომხმარებელთა მიერ ხარჯვა. ნებისმიერმა ამ გარემოებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

კომპანიის საექსპორტო პორტფელი ძირითადად დამოკიდებული არის რეგიონალურ მოთამაშეებზე, როგორებიცაა პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათ შორის უმეტესწილად რუსეთსა და უკრაინაზე. აღნიშნულ ქვეყნებში შექმნილმა არახელსაყრელმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, მათ შორის უკრაინაში ბოლო დროს განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, ასევე რუსეთის ფედერაციაში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ, ან რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გამო ქართული კომპანიებისთვის რუსეთის ბაზრის ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია აქტიურად ცდილობს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას, არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია შეძლებს ევროკავშირის, ჩინეთისა და აშშ-ს ბაზრების სრულყოფილად ათვისებას, ან რომ ამგვარი ბაზრები მომავალშიც იქნება ზოგადად ხელმისაწვდომი.

იურიდიული და მარეგულირებელი რისკები

საქართველო ჯერ კიდევ საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ადეკვატური იურიდიულ გარემოს შექმნის პროცესშია. არის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის მოლოდინი. საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფი განვითარების და ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში საქართველოს მოსამართლეებისა და სასამართლოების გამოუცდელობის შედეგად, რთულია სასამართლო გადაწყვეტილებების პროგნოზირება, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია რეგულირება. ვერ გამოვიცხადებთ, რომ კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება აღიძვროს საჩივრები, რომლებზეც მან შეიძლება ვერ მიიღოს საქმის სამართლიანი მოსმენა და/ან დროში გაჭიანურდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი. აგრეთვე გასათვალისწინებელია, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში არსებული ხარვეზების ზეგავლენის ფაქტორი.

კომპანიასთან დაკავშირებული რისკები

სავალუტო რისკების გავლენა

კომპანიის შვილობილი საწარმო მგრძობიარეა დომინირებადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობისადმი, რაც გავლენას ახდენს მისი კლიენტების მსყიდველუნარიანობაზე. ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება ამცირებს იმ ოჯახების უნარს, რომელთა შემოსავლებიც დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში, შეიძინონ შვილობილი საწარმოს მიერ წარმოებული და იმპორტირებული პროდუქცია.

ამავდროულად, სს “თელიანი ველის” გაყიდვები დამოკიდებულია საექსპორტო ბაზრებზე, შესაბამისად სავალუტო გაცვლითი კურსის რყევებს შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს მის საექსპორტო შესაძლებლობებზე, თუმცა ამ ეტაპზე ლარის გაუფასურების ტენდენციიდან გამომდინარე, აღნიშნული მოცემულობა დადებით გავლენას ახდენს შვილობილი საწარმოს საექსპორტო პოტენციალზე, ისეთ ქვეყნებში, სადაც არ ხდება ან ნაკლებად ხდება ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება.

კომპანიის მიერ წინამდებარე პროსპექტით ხდება პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის ნაწილის მოზიდვა დოლარში. ამავდროულად, პროექტთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვანი წილი იქნება შესაძლებელია იყოს სხვა (ადგილობრივ ან უცხოურ ვალუტაში. სავალუტო კურსის ცვლილების შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს სხვა ვალუტაში ფიქსირებული პროექტის განსახორციელებლად საჭირო ხარჯების სრულად დაფარვა.

ასევე სს “თელიანი ველს” გრძელვადიანი სესხი აღებული აქვს აშშ დოლარში, რაც ასევე რისკის შემცველია სავალუტო კურსის ცვალებადობის პირობებში.

კომპანიის შვილობილი საწარმო ამავდროულად დროს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის საშუალებით ახორციელებს კურსის ცვალებადობის დაზღვევას თუმცა აღნიშნული შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად, რამაც შესაძლოა კომპანიის შვილობილი საწარმოს და შესაბამისად კომპანიის დასახული მიზნების შესრულება რისკის ქვეშ დააყენოს.

ფასიან ქალაქების ფლობასთან დაკავშირებული რისკები

აქციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი

ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; აქციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს აქციების საბაზრო ფასზე. არ არსებობს იმის გარანტია, რომ აქციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ აქციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს აქციების სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ აქციების ფასზე ანდა ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ აქციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით ნაკლებ ფასად გაიყიდოს იმ მომენტიდან დასრულების არსებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

საბაზრო რისკები

სს „თელიანი ველზე“ მნიშვნელოვნად მოქმედებს საბაზრო რისკები, რომელიც წარმოიშობება ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და დისტრიბუციის ბაზარზე ფასების ცვალებადობიდან. აგრეთვე გასათვალისწინებელია შვილობილი საწარმოს მასალებსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილების მნიშვნელოვანი ზეგავლენა. საბაზრო რისკების მართვის ძირითად პრინციპებს ადგენს სს „თელიანი ველის“ მენეჯმენტი.

სს „თელიანი ველის“ მიერ წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის მიმართ ინტერესის შემცირება

სს „თელიანი ველის“ მიერ წარმოებული და იმპორტირებული პროდუქცია შესაძლოა ჩანაცვლებულ იქნეს სხვა ტიპის ალკოჰოლური სასმელების მიმართ გაჩენილი მომხმარებლების ინტერესის საფუძველზე. ის ფაქტორები რაც ქმნის მომხმარებლების მოთხოვნას სხვადასხვა სასმელების მიმართ ნაკლებად არის დამოკიდებული შვილობილი საწარმოზე, რამაც შესაძლოა აღნიშნული მოთხოვნა შეამციროს. კერძოდ, ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა ჯანმრთელობის საკითხის აღქმა მომხმარებლების მხრიდან, ცვალებადი სოციალური ტენდენციები და დამოკიდებულება ალკოჰოლურ სასმელთან, ცვლილებები მომხმარებლების არჩევანში სასმელებთან დაკავშირებით, ცვლილებები ეკონომიკურ გარემოში და სხვა, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ შვილობილი საწარმოს გაყიდვებზე და შესაბამისად შვილობილი საწარმოსა და კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ფასების ან მარაგების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი

იმ ნედლეულის ხელმისაწვდომობასა და ფასებზე, რასაც შვილობილი საწარმო იყენებს საკუთარი პროდუქტების წარმოებისთვის შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ისეთმა ფაქტორებმა, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს, მაგალითად: ცვლილებები სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო რეგულაციებსა და კანონმდებლობაში, კურსის ცვლილებები, არასახარბიელო კლიმატური პირობები, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მავნებლების გაჩენის ალბათობა. შს „თელიანი ველი“ ვერ შეძლებს ნედლეულის და შესაფუთი მასალების ფასებისა და ხელმისაწვდომობის წინასწარი პროგნოზის გაკეთებას, შესაბამისად ნებისმიერმა ცვლილებამ ფასსა თუ ხელმისაწვდომობაში, შესაძლოა იქონიოს უარყოფითი ზეგავლენა შვილობილი საწარმოს და შესაბამისად კომპანიის საოპერაციო მარაგებზე და შესაბამისად მის ფინანსურ შედეგებზე.

ბრენდის რეპუტაციული რისკი

შვილობილი საწარმოს წარმატება დამოკიდებულია მის მიერ წარმოებული და იმპორტირებული ბრენდების რეპუტაციის და აღქმის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე, როგორც არსებული ასევე ახალი პროდუქტების შემთხვევაში. ისეთმა მოვლენებმა, რაც მატერიალურ ზიანს აყენებს მის ერთ ან რამოდენიმე პროდუქტს, შესაძლოა იქონიონ უარყოფითი ზეგავლენა საწარმოს საქმიანობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ღაფინანსების რისკი

წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული აქციების შეთავაზებით მიღებული სახსრების ინვესტირება კომპანიის მიერ მოხდება მისი შვილობილი საწარმოს სს “თელიანი ველის” კაპიტალში, რომელიც თავის მხრივ მიღებულ სახსრებს გადასცემს მის შვილობილ საწარმოს შპს “გლობალ ბიერ ჯორჯია“-ს კაპიტალში შენატანის სახით ამ უკანასკნელის მიერ ლუდის ქარხნის პროექტის განსახორციელებლად. გასათვალისწინებელია, რომ კომპანია ამ პროსპექტით განსაზღვრული აქციების შეთავაზებით შეძლებს დაგეგმილი ლუდის წარმოების პროექტის განვითარებისთვის აუცილებელი თანხის მხოლოდ ნაწილის მოზიდვას. კომპანიამ, სს “თელიანი ველმა” და შპს “გლობალ ბიერ ჯორჯია“-მ უნდა შეძლონ საჭირო თანხების მობილიზება, მოიზიდონ სხვა ფინანსური სახსრები კომერციული ბანკებიდან ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, ფასიანი ქაღალდების ახალი ემისიებით, ან/და სხვა საშუალებებით. ფინანსური რესურსების მოზიდვის ალტერნატივათა ძიება კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, თუმცა აღნიშნული მიმართულებით წარუმატებელმა ძიებამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობის, მათ შორის ლუდის ქარხნის პროექტის, შეფერხება ან შეჩერება.

ყველაზე დიდი სასესხო ვალდებულება სს “თელიანი ველს” გააჩნია OPIC-ის მიმართ, რომელზეც 2016 წლის 31 მარტის მდგომარეობით დარჩენილი იყო 4.9 მლნ აშშ დოლარი. ეს სესხი აღებულ იქნა სამ ეტაპად – 5 მლნ აშშ დოლარი (2012 წლის იანვარი), 2 მლნ აშშ დოლარი (2013 წლის მარტი) და 1 მლნ აშშ დოლარი (2014 წლის მარტი). არსებული სესხიდან გამოდინარე OPIC-ის წინაშე არსებული გარკვეული ფინანსური მოთხოვნები (კოვენანტები) სრულად არის დაცული კომპანიის მიერ. აღნიშნულის შესახებ მითითებულია აგრეთვე კომპანიის 2015 წლის აუდიტებულ წლიურ ანგარიშში. ამასთან ერთად, OPIC-ის ზემოაღნიშნული სესხის არსებობა კომპანიის აზრით არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას შპს “გლობალ ბიერ ჯორჯიას” მიერ ლუდის ქარხნის პროექტის განსახორციელებლად საჭირო დამატებითი სესხების მოზიდვისათვის, ვინაიდან აღნიშნული პროექტი OPIC-თან მიღწეული შეთანხმების თანახმად არ მონაწილეობს OPIC-ის სესხიდან გამომდინარე სს “თელიანი ველისთვის” დადგენილი ფინანსური პარამეტრებისა და ლიმიტების გაანგარიშებაში და მასზე, შეთანხმებული ვადის განმავლობაში, არ ვრცელდება OPIC-ის სესხიდან გამომდინარე ის შეზღუდვები, რომლებმაც კომპანიის აზრით შესაძლოა უარყოფითად იმოქმედონ ან შეაფერხონ ლუდის ქარხნის პროექტის განხორციელება

გასათვალისწინებელია, რომ კომპანია ამ პროსპექტით განსაზღვრული აქციების შეთავაზებით შეძლებს დაგეგმილი ლუდის წარმოების პროექტის განვითარებისთვის აუცილებელი თანხის მხოლოდ ნაწილის მოზიდვას. შვილობილმა საწარმომ უნდა შეძლოს საჭირო თანხების მობილიზება, მოიზიდოს სხვა ფინანსური სახსრები კომერციული ბანკებიდან ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, ფასიანი ქაღალდების ახალი ემისიებით, ან/და სხვა საშუალებებით. ფინანსური რესურსების მოზიდვის ალტერნატივათა ძიება შვილობილი კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, თუმცა აღნიშნული მიმართულებით წარუმატებელმა ძიებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისი საქმიანობის შეფერხება ან შეჩერება.

ლუდის ქარხნის პროექტთან დაკავშირებული რისკები

პროექტთან დაკავშირებული რისკები შეიძლება წარმოიშვას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ძირითადი სამშენებლო მასალების და დანადგარების ფასები შესაძლოა გაიზარდოს და/ან რეალურმა სამშენებლო მოცულობებმა შესაძლოა გადააჭარბოს დაგეგმილს და გამოიწვიოს პროექტის მთლიანი ღირებულების გაზრდა;
- სამშენებლო ნებართვების და პროექტთან დაკავშირებული ლიცენზიების აღების პროცესი შესაძლოა დროში გაიწელოს სხვადასხვა სახელმწიფო ბიუროკრატიული მიზეზებიდან გამომდინარე, რამაც შესაძლოა შეაფერხოს პროექტის განხორციელება;
- დანადგარების მომწოდებლის ან სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორის მხრიდან შესაძლოა ვერ მოხერხდეს დანადგარების დროულად მოწოდება და სამშენებლო სამუშაოების დროულად ჩატარება, შესაბამისად პროექტი ვერ შესრულდეს დათქმულ ვადებში;
- სასაქონლო ნიშნის სალიცენზიო ხელშეკრულებების (ჰინეკენის, ამსტელისა და კრუშოვიცის სასაქონლო ნიშნების (ბრენდების) გამოყენებაზე) ფარგლებში დათქმული ლუდის და ლიმონათის მინიმალური გასაყიდი რაოდენობების გაყიდვების ვერ შესრულების შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს

ხელშეკრულებების გაუქმება, რაც აზარალებს შპს “გლობალ ბიერ ჯორჯიას” და შესაბამისად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე;

- ლუდის ქარხნის გაშვების მომენტისთვის ქარხნის ხარისხი შესაძლოა არ იყოს შესაბამისო სავალდებულო სტანდარტებთან, რაც გამოიწვევს სასაქონლო ნიშნის სალიცენზიო ხელშეკრულებების გაუქმებას.

წამყვანი თანამშრომლების შესაძლო წასვლა კომპანიიდან

კომპანიის მიერ სტრატეგიისა და ოპერაციების წარმატებულად განხორციელება დამოკიდებულია მისი უმაღლესი და საშუალო რგოლის მენეჯმენტის მუშაობის ხარისხსა და ღრობზე. იმ შემთხვევაში თუ, ზოგადად, მნიშვნელოვანი თანამშრომლები, მენეჯერები და გამოცდილი სპეციალისტები დატოვებენ კომპანიას ან მმართველ კომპანიას, ამან შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე.

ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი არ ფლობს ინფორმაციას მისი აქციონერების, მმართველო ორგანოს წევრების ან რეგისტრატორის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს კომპანიის მიერ საემისიო აქციების (საჯარო ფასიანი ქაღალდების) ემისიასა და განთავსებაზე.

sxva sayuradRebo informacia

აქციების საემისიო ღირებულება

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისათვის აქციების საემისიო ღირებულების საკითხი განიხილებოდა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგი გარემოებების, მათ შორის კომპანიის და სს “თელიანი ველის” აქციებზე განხორციელებული გარიგებების, საექსპერტო შეფასებების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. 2015 წლის ნოემბერში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი აქციების საემისიო ღირებულების საკითხის განხილვისას, გადაწყვეტილების მიღებისაგან თავი შეიკავა სამეთვალყურეო საბჭოს ერთმა წევრმა. თავის შეკავების მიზეზად აღნიშნულ მან დაასახელა ის, რომ მისი მოსაზრებით, ვინაიდან იგი იყო კომპანიის ერთ-ერთი აქციონერის წარმომადგენელი, აქციათა საემისიო ღირებულების განსაზღვრაში მისი მონაწილეობა წარმოშობდა ინტერესთა კონფლიქტს. ასევე მას მიაჩნდა, რომ ერთ-ერთ ექსპერტს, რომელმაც შეაფასა კომპანიის ძირითადი აქტივის – სს “თელიანი ველის” – ღირებულება, შესაძლოა არ ჰქონოდა საკმარისი დრო აღნიშნული შეფასების განსახორციელებლად.

სამეთვალყურეო საბჭოს საემისიო ღირებულების განსაზღვრისას წარედგინა ექსპერტების (მათ შორის საერთაშორისო რეუტაციის მქონე დამოუკიდებელი აუდიტორის) შეფასებები, რომელთა მიხედვითაც კომპანიის ძირითადი აქტივის – სს “თელიანი ველის” – ღირებულება განისაზღვრა 2.04 მილიონი აშშ დოლარიდან 3.04 აშშ დოლარამდე. მიუხედავად ამისა, სამეთვალყურეო საბჭომ აქციების საემისიო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის სს “თელიანი ველის” (როგორც კომპანიის ძირითადი აქტივის) ღირებულებად მიიჩნია უფრო მაღალი ფასი - 5 მილიონი აშშ დოლარი, რის შესაბამისადაც განისაზღვრა ახალი აქციების საემისიო ფასი (თითო აქცია 0.057 აშშ დოლარი). სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აღნიშნული, შედარებით მაღალი ფასის გამოყენებისას მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი გარემოებები: კომპანიის მსხვილ აქციონერთა მზადყოფნა კომპანიის კაპიტალში შენატანები განხორციელებინათ მაღალი ღირებულებით, გასული უახლესი პერიოდის განმავლობაში საფონდო ბირჟაზე კომპანიის და სს “თელიანი ველის” აქციათა შედარებით მსხვილი პაკეტის ნასყიდობისას დაფიქსირებული ფასი, რაც შეესაბამებოდა ამგვარ გაზრდილ ღირებულებას და ის, რომ კომპანიის კაპიტალში მსხვილ აქციონერთა მიერ შენატანების მაღალი ფასით განხორციელება მომგებიანია კომპანიის მინორიტარი აქციონერებისათვის ვინაიდან ემისიაში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში არ მოხდება მათი წილების განზავება დაბალ ფასად.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის აქციებზე ბოლო მსხვილი გარიგება (2015 წლის 24 დეკემბერს 8,739,433 აქციის რეალიზება) განხორციელდა სწორედ იმ ფასით, რომელიც დადგენილი იქნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი საემისიო აქციების განთავსებისთვის (ერთი აქციის ფასი 0.137 ლარი, რაც შეესაბამებოდა 0.057 აშშ დოლარს არსებული გაცვლითი კურსით და გამომდინარეობდა კომპანიის 5 მილიონ დოლარიანი შეფასებითი ღირებულებიდან), ხოლო აქციების გაყიდვა აღნიშნულ ფასად მოხდა იმ

აქციონერის მიერ, რომლის წარმომადგენელიც სამეთვალყურეო საბჭოში თავის დროზე არ ეთანხმებოდა აქციების განთავსების ამგვარ ფასს.

კომპანიის აქციონერებს ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ იმისათვის, რომ მათ, აქციების ემისიაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, ქონდეთ აგრეთვე ამ ინფორმაციის მხედველობაში მიღების შესაძლებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, აქციონერები საემისიო აქციების შექენაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიის საემისიო აქციების ღირებულებასთან და ამგვარ აქციებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში.

ემისიის დებულებები

ემისიის ძირითადი პარამეტრები

ემიტენტი აპირებს გამოუშვას არაუმეტეს 156,140,351 (ასორმოცდათექვსმეტი მილიონ ასორმოცი ათას სამასორმოცდათერთმეტი) ცალი ჩვეულებრივი აქცია. (შემდგომში – “საემისიო აქციები” ან “ახალი ემისიის აქციები”). გამოსაშვები აქციების ზუსტი რაოდენობა მითითებული იქნება საბოლოო პროსპექტში (საემისიო აქციები). საემისიო აქციების ზუსტი ოდენობის განსაზღვრა მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინამდებარე წინასწარი პროსპექტის დამტკიცების შემდეგ კომპანიის არსებული აქციონერებისათვის შეთავაზებით და მათგან საემისიო აქციების შესყიდვაზე ინტერესის გამოხატვის საფუძველზე დაფინანსების იმ მოცულობით მოსაზიდად, რაც საჭიროა კომპანიის მიერ წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ემისიის მიზნებისათვის.

საემისიო აქციების შეთავაზება მოხდება წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის (სამუშაო დღის) დასრულების მდგომარეობით წარმოადგენენ კომპანიის აქციების რეგისტრირებულ მესაკუთრეებს. შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისათვის კომპანიის არსებულ აქციონერებს – რეგისტრირებულ მესაკუთრეებს. ამასთან, კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეებს შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უშუალოდ ემიტენტი კომპანიისთვის შესყიდვის განაცხადის წარდგენით; ხოლო აქციათა იმ მესაკუთრეებს, რომელთა აქციებიც აღრიცხულია/შენახულია კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებული (ნომინალური) მფლობელების (მათ შორის, საბროკერო კომპანიების ან ბანკების) ნომინალურ მფლობელობაში, შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ამგვარი ნომინალური (რეგისტრირებული) მფლობელების მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილი არიან რეგისტრირებული მესაკუთრეების სახელით წარუდგინონ ემიტენტს შესაბამისი შესყიდვის განაცხადი. ამასთანავე, ნომინალურ მფლობელებს შეუძლიათ ემიტენტს მიმართონ მხოლოდ და მხოლოდ მათ სუბ-რეესტრებში რეგისტრირებული მესაკუთრეების მიერ მათთვის წარდგენილ განაცხადებში მოცემული მითითებების შესაბამისად. აქციათა იმ მესაკუთრეებს, რომელთა აქციებიც აღრიცხულია/შენახულია ნომინალური მფლობელების ნომინალურ მფლობელობაში, შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე უშუალოდ. ამისთვის, საჭიროა მათი შესაბამისი ნომინალური მფლობელის მიერ მოხდეს კომპანიის ინფორმირება იმის შესახებ, რომ შესაბამისი რეგისტრირებული მესაკუთრე შეთავაზებაში მონაწილეობას მიიღებს უშუალოდ და არა ნომინალური მფლობელის მეშვეობით. კომპანიის მიერ საემისიო აქციები განთავსდება რეგისტრირებულ მფლობელებზე. ნომინალური მფლობელები თავად არიან პასუხისმგებელნი, რათა კომპანიის მიერ მათზე განთავსებული აქციების ასახვა სათანადოდ მოხდეს მათ სუბ-რეესტრებში რეგისტრირებულ მესაკუთრეებზე. კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ამგვარი რეგისტრირებული მესაკუთრეების წინაშე ნომინალური მფლობელების მიერ თავიანთი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო. რეგისტრირებულ მესაკუთრეებს გააჩნიათ, წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით, საემისიო აქციების შეძენის უპირატესი უფლება შეთავაზების სააღრიცხვო დღის (სამუშაო დღის) დასრულების მდგომარეობით მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების ოდენობის (პროცენტის) პროპორციული რაოდენობით ახალი ემისიის მთლიანი მოცულობიდან.

საემისიო აქციები მიეკუთვნებიან იმავე კლასს, რომელსაც ემიტენტის არსებული ჩვეულებრივი აქციები. შესაბამისად, საემისიო აქციებს გააჩნია ემიტენტის არსებული აქციების თანაბარი და იდენტური საკლასო თვისებები. თითოეული აქციის საორიენტაციო საემისიო ღირებულებაა არანაკლებ 0.057 დოლარი. საემისიო აქციების ნომინალური ღირებულება იგივეა, რაც ემიტენტის არსებული აქციების ნომინალური ღირებულება და შეადგენს 0.01 ლარს.

შეთავაზების პროცედურა

წინამდებარე ემისიის პროსპექტით საჯარო შეთავაზებისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება დაიწყება ემისიის წინასწარი პროსპექტის დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ კომპანიის მიერ შეთავაზების დაწყების შესახებ განაცხადებაში მითითებული შეთავაზების დაწყების თარიღიდან. შეთავაზების დაწყების შესახებ განაცხადი, აგრეთვე დამტკიცებული ემისიის წინასწარი პროსპექტი და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა მასალები გამოქვეყნდება ემიტენტის ვებ-გვერდზე: www.libertyconsumer.ge ან/და საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე www.gse.ge. შეთავაზების დაწყების შესახებ განაცხადი აგრეთვე გამოქვეყნდება საჯარო წესით საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში. ამასთან, ემიტენტი უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, რეგისტრირებულ მფლობელებს

ემიტენტის ხელთ არსებულ მათ ელექტრონულ მისამართებზე გაუგზავნოს შეთავაზების დაწვების შესახებ განაცხადი, ემისიის წინასწარი დამტკიცებული პროსპექტი, შეთავაზების სხვა მასალები, ხოლო იმ აქციონერებს, რომლებიც ფლობენ ემიტენტის განთავსებული აქციების 1%-ზე მეტს და რომელთა ელექტრონული მისამართიც ემიტენტს არ გააჩნია, შეთავაზების მასალები მიაწოდოს ემიტენტისთვის ცნობილ ამ აქციონერის ფაქტიურ ან იურიდიულ მისამართზე.

ემიტენტის მიერ შეთავაზება განხორციელება მხოლოდ შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის (რაც ასევე გამოქვეყნდება შეთავაზების დაწვების შესახებ განაცხადებში) მდგომარეობით არსებული რეგისტრირებული მესაკუთრეების მიმართ, რომელთაც ექნებათ წინამდებარე პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული საემისიო აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის (საშუალო დროის დასრულების) მდგომარეობით მათ საკუთრებაში არსებული ემიტენტის აქციების პროპორციული ოდენობით (ამგვარი უფლება შემდგომში მოიხსენიება როგორც “თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლება”).

კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეებს შეთავაზებაში მონაწილეობის მიღება და თავიანთი თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება შეუძლიათ უშუალოდ ემიტენტი კომპანიისთვის შესყიდვის განაცხადის წარდგენით.

იმ რეგისტრირებულ მესაკუთრეთა თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება, რომლებიც აღნიშნული თარიღისთვის კომპანიის აქციებს ინახავენ ნომინალურ მფლობელებთან (მათ შორის, საბროკერო კომპანიების, ბანკების ან/და სხვა ნომინალური მფლობელების ანგარიშებზე), მოხდება იმ რეგისტრირებული (ნომინალური) მფლობელების მეშვეობით, რომელთა ნომინალურ მფლობელობაშიც იმყოფება ამგვარ რეგისტრირებულ მესაკუთრეთა აქციები. თუმცა, ასევე შესაძლებელია, ამგვარი რეგისტრირებულმა მესაკუთრებმა უშუალოდ მიიღონ შეთავაზებაში მონაწილეობა და განახორციელონ თავიანთი თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლება, რისთვისაც საჭიროა მათი შესაბამისი ნომინალური მფლობელის მიერ მოხდეს კომპანიის ინფორმირება იმის შესახებ, რომ შესაბამისი რეგისტრირებული მესაკუთრე შეთავაზებაში მონაწილეობას მიიღებს უშუალოდ და არა ნომინალური მფლობელის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, ამგვარ რეგისტრირებული მესაკუთრეს შეთავაზებაში მონაწილეობა შეუძლია იგივე პროცედურებისა და პირობების შესაბამისად, რაც კომპანიის ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეებს. ემიტენტი არ აგებს პასუხს ამგვარი რეგისტრირებული მესაკუთრეების წინაშე მათი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ან გამოუყენებლობის გამო მიუხედავად იმისა, ისინი მოქმედებენ უშუალოდ თუ შესაბამისი ნომინალური მფლობელის მეშვეობით.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ საჯაროა. შეთავაზების დაწვების შესახებ განაცხადი და შეთავაზების საჭირო სხვა თანმხლები დოკუმენტები გამოქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, ემიტენტი კომპანიის ვებ-გვერდზე და აგრეთვე საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე. ამასთანავე, ემისიის წინასწარი და საბოლოო პროსპექტები ხელმისაწვდომი იქნება ემიტენტის ვებ-გვერდზე ან მის ოფისში. შესაბამისად რეგისტრირებულ მესაკუთრეებს ეძლევათ საშუალება გაეცნონ შეთავაზების პირობებს, გამოიყენონ აქციონერის უფლება უპირატესი შესყიდვის შესახებ და მონაწილეობა მიიღონ საემისიო აქციების შესყიდვაში. ემიტენტის მიერ საემისიო აქციები განთავსდება მხოლოდ რეგისტრირებულ მფლობელებზე, მათ შორის ნომინალურ მფლობელებზე. ეს უკანასკნელნი, წინამდებარე პროსპექტით ინფორმირებული არიან მათ შესაბამის ჩანაწერებში არსებული რეგისტრირებული მესაკუთრეების მიერ წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული საემისიო აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების შესახებ და ვალდებული არიან საკუთარ კლიენტებს (ნომინალურ მფლობელობაში არსებულ რეგისტრირებულ მესაკუთრეებს) შეატყობინონ აღნიშნული საჯარო შეთავაზების შესახებ. ნომინალური მფლობელები თავად არიან პასუხისმგებელნი, რათა კომპანიის მიერ მათზე განთავსებული აქციების ასახვა სათანადოდ მოხდეს მათ სუბ-რეესტრებში რეგისტრირებულ იმ მესაკუთრეებზე, რომელთაც წარადგინეს შესაბამისი შესყიდვის განაცხადები აქციების შესყიდვის თაობაზე. კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ამგვარი რეგისტრირებული მესაკუთრეების წინაშე ნომინალური მფლობელების მიერ თავიანთი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო. იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება იმ რეგისტრირებულ მესაკუთრეთა მიერ, რომლებიც ემიტენტის აქციებს ფლობენ ნომინალური მფლობელის მეშვეობით, შესაბამისმა ნომინალურმა მფლობელებმა უნდა უზრუნველყონ ამგვარ რეგისტრირებულ მესაკუთრეთა ინფორმირება და მათგან განაცხადების დროული მიღება, რათა ნომინალური მფლობელის მიერ მოხდეს საემისიო აქციების შესყიდვაზე შესაბამისი წერილობითი განაცხადების წარდგენა ემიტენტისათვის წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრულ ვადებში. წინამდებარე შემთხვევაში, ამგვარ რეგისტრირებულ მესაკუთრეთა თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლება დარჩება განუხორციელებელი და გაუქმდება. ემიტენტი არ აგებს პასუხს ამგვარი რეგისტრირებული მესაკუთრეების წინაშე მათი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ან გამოუყენებლობის გამო.

თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლების განსახორციელებლად და ახალი ემისიის აქციების შესყიდვისათვის შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის (სამუშაო დროის დასრულების) მდგომარეობით არსებულმა რეგისტრირებულმა მფლობელებმა წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით ემიტენტს უნდა წარუდგინონ წერილობითი განაცხადი საემისიო აქციების შესყიდვაზე.

თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლების განსახორციელებისათვის შეთავაზების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთავაზების სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით არსებულ რეგისტრირებულ მფლობელებს შეუძლიათ ემიტენტს წარუდგინონ საემისიო აქციების შესყიდვის შესახებ წერილობითი განაცხადი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს წინამდებარე პროსპექტზე თანდართული ფორმით (იხ. დანართი 1). აღნიშნული წერილობითი განაცხადის ნამდვილობისთვის დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

(1) წერილობითი განაცხადი შედგენილი უნდა იყოს წინამდებარე პროსპექტზე თანდართული ფორმით და მიღებული იქნეს ემიტენტის ფაქტიურ მისამართზე (თბილისი, 0159, ბელიაშვილის ქ. №8) ან ემიტენტის ელექტრონულ ფოსტაზე: lc@libertyconsumer.ge, არაუგვიანეს შეთავაზების დაწყების თარიღიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღისა. ამასთან, თუ ეს მე-7 კალენდარული დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, წერილობითი განაცხადი მიღებული უნდა იქნეს არაუგვიანეს ამ არასამუშაო დღის მომდევნო სამუშაო დღისა;

(2) მითითებულია რეგისტრირებული მფლობელის მიერ შესასყიდი საემისიო აქციების რაოდენობის შესახებ რეგისტრირებული მფლობელის მიერ მიღებული ერთი-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: რეგისტრირებულ მფლობელს სურს საემისიო აქციები შეისყიდოს შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისათვის მის მფლობელობაში არსებული კომპანიის აქციების:

(ა) სრული პროპორციული ოდენობით;

(ბ) სრულ პროპორციულზე ნაკლები ოდენობით ამგარი ოდენობის ზუსტი მითითებით;

(გ) პროპორციულზე მეტი ოდენობით, სხვა აქციონერ(ებ)ის მიერ თავდაპირველი უპირატესი უფლების გამოყენებლობის ან არასრულად გამოყენების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში თუ რეგისტრირებულ მფლობელს არ სურს შესაძლო მაქსიმალური ოდენობის შექმნა, მან უნდა მიუთითოს პროპორციულზე მეტი ოდენობით შესაძენი აქციების ზუსტი რაოდენობა.

ამასთან, რეგისტრირებულ მფლობელს, რომელიც მოქმედებს როგორც ნომინალური მფლობელი, შეუძლია წარადგინოს განაცხადი საემისიო აქციითა მხოლოდ იმ რაოდენობის შესყიდვის შესახებ, რომელიც განცხადებულია მის სუბ-რეესტრებში რეგისტრირებული მესაკუთრების მიერ.

(3) შეთავაზების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს მე-7 (მეშვიდე) კალენდარული დღისა რეგისტრირებული მფლობელის მიერ შეთავაზების დაწყების განაცხადში მითითებულ ემიტენტის საბანკო ანგარიშზე დეპონირებული უნდა იყოს წერილობითი განაცხადის (იხ. დანართი 1) ა.1 ან ა.2 პუნქტში მითითებული საემისიო აქციების პროპორციული ოდენობის საფასურის შესაბამისი თანხა (“დეპოზიტი”). გაურკვევლობის გამოსარიცხად, წერილობითი განაცხადის ნამდვილობის აუცილებელი პირობაა დეპოზიტის თანხის მიღება ემიტენტის საბანკო ანგარიშზე შეთავაზების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს მე-7 (მეშვიდე) კალენდარული დღისა. ამასთან, გამონაკლისის სახით, მყარი ობიექტური გარემოებების არსებობისას, ემიტენტს შეუძლია დეპოზიტი მიღებულად ჩათვალოს იმ შემთხვევაშიც, თუ რეგისტრირებული მფლობელის მიერ ემიტენტისათვის წარმოდგენილი იქნება დეპოზიტის თანხის გადმორიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი ემიტენტისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმით. თანხის გადმორიცხვის საბუთში მითითებულ უნდა იქნას შესაბამისი რეგისტრირებული მფლობელის სახელი და გვარი (ან, იურიდიული პირის შემთხვევაში, დასახელება).

თუ რეგისტრირებული მფლობელი ზემოაღნიშნულ 7 (შვიდი) დღიან ვადაში არ წარმოადგენს საემისიო აქციების შესყიდვაზე წერილობით განაცხადს და/ან ზემოაღნიშნული წესით არ მოახდენს დეპოზიტის სრული თანხის ჩარიცხვას, მიიჩნევა, რომ შესაბამისი რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ სრულად იქნა განცხადებული უარი თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლების განსახორციელებაზე. თუ წერილობით განაცხადში მითითებულია საემისიო აქციების პროპორციულ ოდენობაზე ნაკლების შესყიდვის შესახებ, ითვლება, რომ შესაბამისმა რეგისტრირებულმა მესაკუთრემ თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლება გამოიყენა მხოლოდ შესაბამის წერილობით განაცხადში (ა.2 პუნქტში) მითითებულ საემისიო აქციების ოდენობაზე ნაკლები ოდენობის აქციები და უარი განაცხადა ამგვარი უფლების გამოყენებაზე დანარჩენი საემისიო აქციების მიმართ.

ამასთან, რეგისტრირებული მფლობელის მიერ გადახდილი დეპოზიტი ნებისმიერ შემთხვევაში სრულად უნდა ფარავდეს მის მიერ წერილობით განაცხადში (ა.1 ან ა.2 პუნქტში) მითითებული საემისიო აქციების ოდენობის საფასურს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ შესაბამისმა რეგისტრირებულმა მესაკუთრემ სრულად განაცხადა უარი თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა თუ საემისიო აქციების რა რაოდენობის შესყიდვაზეა მითითებული შესაბამისი რეგისტრირებული მფლობელის მიერ წარდგენილ შესყიდვის განაცხადში.

რეგისტრირებული მფლობელებისაგან საემისიო აქციების შესყიდვის შესახებ წერილობითი განაცხადისა და დეპოზიტის მიღების ზემოაღნიშნული 7 (შვიდ) დღიანი პერიოდის დასრულებისას, ემიტენტის მიერ მოხდება საემისიო აქციების იმ რაოდენობის განსაზღვრა, რომლებზედაც არ მოხდა თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება შესაბამისი რეგისტრირებული მესაკუთრეების მიერ (შესაბამისი რეგისტრირებული მფლობელების მიერ შესყიდვის განაცხადის წარუდგენლობის, წერილობით განაცხადში საემისიო აქციების პროპორციულ ოდენობაზე ნაკლები ოდენობით შესყიდვის მითითების ან დეპოზიტის გადაუხდელობის გამო) (“დამატებითი აქციები”). დამატებითი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება (“მეორადი უპირატესი შესყიდვის უფლება”) პროპორციული ოდენობით ექნებათ ემიტენტის მხოლოდ იმ დანარჩენ რეგისტრირებულ მესაკუთრეებს, რომელთაც სრულად განახორციელებს თავდაპირველი უპირატესი შესყიდვის უფლება და ამასთან მხოლოდ იმ ოდენობის ფარგლებში, რომელიც მითითებული იყო შესაბამისი რეგისტრირებული მფლობელის მიერ წინამდებარე ემისიის პროსპექტის შესაბამისად წარდგენილ საემისიო აქციების შესყიდვის შესახებ განაცხადში. გაუგებრობის გამოსარიცხად, პროპორციული ოდენობის განსაზღვრის მიზნებისთვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ მეორადი უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე რეგისტრირებულ მესაკუთრეთა აქციების ჯამური ოდენობა შეთავაზების სააღრიცხვო თარიღისათვის.

ემიტენტი რეგისტრირებულ მფლობელთა მიერ წარდგენილი განაცხადების და მიღებული დეპოზიტების საფუძველზე დაადგენს, წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესის მიხედვით არსებობენ თუ არა მეორადი უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერები და შესაბამისად განსაზღვრავს დამატებითი აქციების განაწილების პირობებს (მათ შორის, თითოეულ უფლებამოსილ აქციონერზე გასანაწილებელი დამატებითი აქციების ოდენობას).

იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტი რეგისტრირებულ მფლობელთა მიერ წარდგენილი განაცხადების და გადახდილი დეპოზიტების საფუძველზე დაადგენს, რომ წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესის მიხედვით არსებობენ მეორადი უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერები, იგი შესაბამის რეგისტრირებულ მფლობელებს დაუყოვნებლივ, მაგრამ შეთავაზების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს მე-8 დღისა, აცნობებს მეორადი უპირატესი შესყიდვის უფლების წარმოშობის შესახებ, მათთვის განკუთვნილი საემისიო აქციების შესაბამისი ოდენობისა და საფასურის მითითებით. მეორადი უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე რეგისტრირებული მესაკუთრეები ვალდებული არიან (უშუალოდ ან შესაბამისი ნომინალური მფლობელის მეშვეობით), არაუგვიანეს 7 (შვიდ) დღიანი ვადის გასვლიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში ემიტენტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით სრულად გადაიხადონ იმ დამატებითი აქციების საფასური, რომლებზეც მათ ემიტენტისგან ეცნობათ მეორადი უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზების თაობაზე.

აქციების იმ ოდენობაზე, რომელთა საფასურიც ზემოაღნიშნული წესით და ვადაში არ იქნება გადახდილი შესაბამისი რეგისტრირებული მფლობელების მიერ, შემდგომი უპირატესი შესყიდვის უფლება აღარ გავრცელდება. ემიტენტი არ განათავსებს აღნიშნულ აქციებს და განთავსება დასრულდება საემისიო აქციების მხოლოდ იმ ოდენობის განთავსებისას, რომელთა საფასური შეთავაზების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 12 (ათ) (7 დღე + 5 დღე) კალენდარული დღიანი ანგარიშსწორების პერიოდის დასრულების შემდეგ სრულად იქნება დაფარული.

საემისიო აქციების საფასური ფიქსირებულია აშშ დოლარში და საფასურისა და შესაბამისი დეპოზიტის ნებისმიერი გადახდა უნდა განხორციელდეს აშშ დოლარში.

ემიტენტი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს წარუდგენს საბოლოო პროსპექტს და უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას კომპანიის ვებ-გვერდზე. რეგისტრირებულ მფლობელებზე შესაბამისი ოდენობის საემისიო აქციების გადაცემის რეგისტრაცია მოხდება საბოლოო პროსპექტის დამტკიცების შემდგომ, ემიტენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში ან შესაბამისი ნომინალური მფლობელის რეესტრში რეგისტრაციის გზით.

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო შეთავაზების მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ სახსრების მოზიდვა კომპანიის შვილობილ საწარმო სს “თელიანი ველის” ახალ აქციათა ემისიაში მონაწილეობის მისაღებად მინიმუმ კომპანიის საკუთრებაში არსებული სს “თელიანი ველის” აქციების პროპორციული ოდენობით (რაც წინამდებარე პროსპექტში განიმარტება როგორც “ემისიის მიზანი”), სამეთვალყურო საბჭოს მიერ შესაძლებელია დაყენებული იქნეს წინადადება კომპანიის მიერ ამ საჯარო შეთავაზების შედეგად მიღებული იმ სახსრების, რომლებიც არ ან ვერ იქნება იქნება გამოყენებული წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული “ემისიის მიზნის” შესაბამისად, დივიდენდის ან კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფორმით აქციონერებს შორის განაწილების თაობაზე.

ზოგადი ინფორმაცია

ამ პროსპექტის მომზადების დღიდან ობლიგაციების საჯარო შეთავაზებამდე, ემიტენტის ფინანსურ ან სავაჭრო პოზიციასა და პერსპექტივაში მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები არ მომხდარა.

პროსპექტის დანართი №2-ის სახით წარმოგიდგენთ 2015 წლების აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებს. ზოლო 2014 და 2013 წლების აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ბანკში და სს საქართველოს საფონდო ბირჟაზე და წარმოადგენს საჯარო დოკუმენტებს, მათ შორის ატვირთულია საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ გვერდზე და კომპანიის ვებ გვერდზე (იხ. ლინკი <http://libertyconsumer.ge/en/>)

პროსპექტის დადასტურება:

არჩილ გაჩეჩილაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

თამარ ქავჯაია

გენერალური დირექტორი

ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია აქციების საემისიო ღირებულების შესახებ, ასახული იქნება აქციების ემისიის საბოლოო პროსპექტში.

არჩილ გაჩეჩილაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

თამარ ქაჯაია

გენერალური დირექტორი